



მოქალაქეებზე ნასაჯაფსანდალი



შოთა გლურჯიძე:
„ნაცმომკრაობას“
მავზოლუუმს ავუშენებთ და
ვის მუმიანს იქ ღავასვენებთ
ჩემს ერთ წინასწარმეტყველებას
გაგანდობთ – მელია შეიძლება „ქართულ
ოცნებაში“ აღმოჩნდეს



კებრა მამრაძე:
როგორ იქცა შეზღუდული
ღიქტატორი პოლიტიკატიმრად?
ვინ აკეთებს პუტინის საქმეს? –
რა თქმა უნდა, სააკაშვილი. დიან, პუტინის
პირადი აგენტიც კი ვერ გააკეთებს იმას,
რაც სააკაშვილმა გააკეთა



სოსო სინსაძე:
ამერიკული საზოგადოება
ასეთი პოლარიზებული
არასდროს ყოფილა
უკრაინის თემა დღეს ამერიკისთვის
წამყვანი არ არის. მათთვის დღეს მთავარი
პრობლემა აბორტის საკითხია



ამერიკაში აღრე გარდასვლილები ირჩევდნენ ხელისუფალთ,
ახლა კი ცოცხლებმა აირჩიეს მკვლარი კანონმდებლები



„ღასავლეთზე“ გაბიჟებული **რუსეთის აბენტურა**

დღევანდელ ყურფიჩორა ე.წ. პოლიტიკოსებს
წარმოდგენა არ აქვთ სწორედ იმ წარსულზე,
რომელსაც საბჭოთა კავშირი და
მისი უშიშროება ერქვა

მოქალაქეებზე ნასაჯაფსანდალი

ცუდად გათვალვლია „ნაციონალური მოძრაობა“, აშკარად ჯადო აქვთ, ვიღაცამ ოპერატიულად მოაჯადოვა და აზრზე არ არიან!

სხვა რა უნდა იფიქრო კაცმა, როდესაც ერთ საბჭოურში გამოყვანილი გოგო-ბიჭები დაბერდნენ და მთლად გამოქლიავენ. ნაცვლად იმისა, რომ შეხმატკბილებულად შებერებოდნენ ერთმანეთს, თორიას კასრში გამომწვევებული ვიროსებზე დაერევენ ერთმანეთს, ხან ერთს აქვს ხელი მომტვრეული, ხან მეორეს უბაზუნებს ყველა, ვისაც არ უზარება. მოკრივეებს რომ „გრუშა“ აქვთ ჩამოკიდებული, მთხლევენი ისე ჰყავს ყველას გაგდებული ფეხქვეშ და ის რაღად უნდათ, ნეტავ? ძალიან რომ გაილექსა, რა დანიშნულებისთვის სჭირდებათ პერსპექტივაში, თუ რამე იქნა, ის რომ ეცემინოს ყველას ნაცვლად? რა იყო, ჯეკ ლონდონის გრინგოა?

დიადი ბელადი, როგორც მისი ადვოკატთაგანი ამბობს, 36 ავადმყოფობით იტანჯება და ესენი მის სკამს ვეჯდებიან. მოტყდება, შვილებო, მაგ სკამს ფეხები და უშნოდ არ მოგხვდეთ სადმე, გონი დაიტანეთ!

ჯერ რომ ისედაც დაშლილები იყვნენ პირველი გამოშვება „მოსკვირით“ და ახლა მთლად დაიშალნენ, თან რაღაც ავისმომასწავებლად...



„მთვლემარე პითონზე“ ყოველთვის ვამბობდი, ჭკვიანი ბიჭია-მეთქი და აი, თუ სწორად არ მიცვნი, იჯდება ახლა ისიც ჩემსავით და გაერთობა თავის „მანგუსტასთან“ ერთად „ვიროსების რბოლის“ ყურებით.

ისე, უგემოვნოდ მოწყობილი შოუების მხზავანა და სისინა შემსრულებლების ყურებას, ცენტურიონების შეტაკების ყურება ემჯობინება მაყურებელი ხალხისთვის. პრინციპში, ძალია ვისაც აქვს, ისინი დაატაკებენ ერთმანეთს თავიანთ ლეგიონერებს, თორემ, აბა, იმ დაკა-დაკაში პარლამენტის არაფრისმაქნისი ცოცხალი მიკროფონები კი უნდა აორთქლდნენ სულეიმან იბნ დაუდის ჯინებივით.

ამ ფეხებგადაჯვარდინებულ გაჭირვებულებს ჯერ „დეოლიგარქიზაციის კანონის“ მათკენ ქეტრიალება არ ჰქონდათ მონელებული, რომ კვლავ უკუღმა გადმოხედეს კოსმიურმა ძალებმა

— იმდენი იბახეს, ვადამდელო არჩევნები გვინდაო, რომ მიიღეს თავიანთ ზურგზე მრავალფეხებიანი არჩევნები. „ოცნება“ იშლებო და თვითონ ეძებენ საკუთარ „ბოლტ-გაიკებს“, ვისი „ბოლტი“ ვის „გაიკაშია“, ჩვენ რას გავიგებთ, თვითონ ვერ გაუგიათ...

აბა, ერთი, გადავხედოთ, ვინ არიან და რასა ჩივიან, რა კლანური დაპირისპირება აუტყდათ მშობელ პარტიაში?

აჰა, როგორც ვვარაუდობდით, ერთი თავი-კაცი ორი ყოფილა, დავით კეხერაშვილ-ვანო მერაბიშვილის ტანდემი. ტანდემზე გამახსენდა, ქვერო „გადი-გამოდი ველასიპეტის“ ძეგლი დაგვიდგეს, ისე დაემართათ ზუსტად — ვინ არიან, ნეტავ, ამ შედეგის ნათელმზილველი შემკვეთ-შემსრულებლები? ჩვენის მხრიდან კი, „დიდ ბელადს“ გადასცენ, „შლოპანცებს“ ერიდოს, რა ვიცით, ეგ „ძეგლიც“ წინასწარმეტყველური არ აღმოჩნდეს...

მეორე მხრის თავი-კაცად ნიკა მელია გამოდის ძმები ახალაიების მხარდაჭერით, ფაქტობრივად, სამთავიან ბაყბაყ დევად ყალიბდება.

თაკო სალაყაიას დამიძახეთ, თეთრი მანდილი ჩააგდოს მათ შორის, თორემ მიზნები ერთი მორყეული სკამი იქნება, ბრძოლა კი დაუნდობელი...

ქრისტეფორე მგალობლიშვილისა არ იყოს: მძახალო, ისე ნუ მოიქცევი, რომ შემდგომ ერთმანეთისა შეგრცხვეთ...

ბოლო-ბოლო, ვის დარჩება პარტიული მანქანის სკამი, გავიგებთ, მანამდე კი გავერთოთ ვიროსების მართონით, სხვა მინც არაფერია გასართობი. ჯერ კეხერაშვილი გავისხენოთ, რა ჩიტია და ძალგულოვან „ვარკეთილელ ტურფა გრუშას“ მერე მივხედოთ. ამერიკული ონლაინჟურნალი წერდა, რომ ქართველ ჯარისკაცებს 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთთან საომრად ხელცარიელს უშვებდნენ, რადგან იარაღი, რითიც უნდა ეომათ, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა მესამე ქვეყანაში გადაადგილეს.

მე ვამბობ? — ის ჟურნალი ამბობს. გაზეთ „New Eastern Outlook“-ში სკანდალური სტატია გამოქვეყნდა, რომელშიც ვრცლად



არის მოთხრობილი საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეხერაშვილის საქმიანობის შესახებ.

სტატიაში, მიმომზილველი პენრი კამენსი კეხერაშვილის კრიმინალური საქმიანობის შესახებ წერს და აღნიშნავს, რომ მის სახელს ყველაზე ხშირად ნარკოტიკებით და უკანონო იარაღით ვაჭრობას უკავშირებდნენ. „2004-2006 წლებში კეხერაშვილი საფინანსო პოლიციის უფროსი იყო. ის წყვეტდა, რომელიც მეწარმე დაეჭვრათ, რა დაეხურათ და ა.შ. ამის შემდეგ ის თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანეს, თუმცა მას ამ სფეროში გამოცდილება არ ჰქონდა. ის „ნაციონალური მოძრაობას“ ხელს აძლევდა იმის გამო, რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ისრაელთან და თავისუფლად მეტყველებდა ივრითზე. ცნობილია, რომ ისრაელში იარაღით ვაჭრობის ყველაზე „შავი ბაზარი“ არსებობს. კეხერაშვილმა ურთიერთობა დაამყარა ამ კრიმინალურ სფეროსთან. მას ურთიერთობები ჰქონდა არა მხოლოდ ისრაელთან, არამედ იარაღის სერბ მწარმოებლებთანაც. მათ განკარგულებაში შედის აგრეთვე გადაზიდვების რამდენიმე კომპანია, რომლებიც მსოფლიოს ცხელ წერტილებში ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობენ. მრავალი საერთაშორისო კანონი და კონვენცია კრძალავს იარაღით ვაჭრობას მათთვის, ვინც შეიძლება ეს იარაღი არაკანონიერი საქმიანობისთვის გამოიყენოს. ამის მიუხედავად, ტერორისტული დაჯგუფებები ყალბი სერტიფიკატებით ყოველთვის შოულობენ იარაღს.



ქართველები იღებდნენ იარაღს, როგორც ის ქვეყანა, რომლის ჯარსაც შეიარაღება კანონიერი მიზნებისთვის სჭირდებოდა.

ექსკლუზიური სტატიაში საუბარია 2008 წლის აგვისტოს ომის დეტალების შესახებ. სტატიის ავტორი კეხერაშვილისა და სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას თანამშრომლობის დეტალების შესახებ წერდა და მათ მიერ იარაღით ვაჭრობის თაღლითური სქემის დეტალებს ახმაურებდა: „ის, რომ იარაღს მხოლოდ ჯარისთვის არ ყიდულობდნენ, ცნობილი გახდა 2008 წელს, როდესაც ქართველ ახალგაზრდა ჯარისკაცებს ხელცარიელს უშვებდნენ რუსეთთან საომრად. ის, თუ სად წავიდა დიდი რაოდენობით იარაღი, უცნობია. ვარაუდია, რომ ის იარაღი ტერორისტებს ურიგდებოდა, რადგან სწორედ მათთან თანამშრომლობდა კეხერაშვილი. ბევრი მინისტრი ჩამოიშორეს, მაგრამ კეხერაშვილი ხელუხლებელი იყო, რადგან ძალიან ბევრ ინფორმაციას ფლობდა და ყველა იმ კრიმინალურ საქმიანობაში მონაწილეობდა, რაც სააკაშვილის დროს ხდებოდა. კეხერაშვილი სააკაშვილის ბიძასთან ერთად იარაღით ვაჭრობდა. ქართველი ჟურნალისტებისთვის მალე გახდა ცნობილი, რომ ყოფილი მაღალჩინოსნები საზღვრებთან იარაღს უკანონოდ არიგებდნენ, რათა ამ იარაღის გამოყენება რუსებს დაბრალდებოდათ. მალევე გახმაურდა იარაღის ბიზნესში ცნობილი ალექსანდრ ისმაილოვის საქმე. იგი დათანხმდა საქართველოში უსარგებლო სამხედრო იარაღისა და ტექნიკის შემოტანას. მალევე ყველასთვის ცნობილი გახდა მათი სახელებიც,

ვინც ალასანი-კეხერაშვილის ბიზნესი და სისხლიან ბიზნესში მონაწილეობდა. აშკარა გახდა ის, რომ კეხერაშვილი იყენებდა აგვისტოს ომს და ქართველების სიცოცხლეს იმისთვის, რათა დაუსჯელად ექურდა და საკუთარ თანამოაზრეთა ჯგუფი დაეცვა. ამის შემდეგ საქართველომ ტერიტორიის 20% დაკარგა, კეხერაშვილი კი განზე გადგა. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ისევე სჭირდებოდა იარაღის და ნარკოტიკების გაყიდვით ნაშოენი ფული, თუმცა ამას სახალხოდ ვეღარ ახერხებდნენ, ამიტომ კეხერაშვილმა გააგრძელა „მისი ბიზნესპარტნიორების კონცენტრირება“. 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მან ქვეყნიდან გაქცევის გადაწყვეტილება მიიღო. კეხერაშვილი საფრანგეთში თბილისის თხოვნით დააკავეს კორუფციისა და იარაღით ვაჭრობის ბრალდებით“, — აღნიშნული იყო სტატიაში.

ჰო, მერე რა, დააკავეს, დიდი ამბავი, აკოცეს უკანალზე და გაუშვეს, საინტერესოა, გერმანია მეორე დუნდულაზე აკოცებს?...

ხემ თქვა, მე ცუდი ვერაფერს დამაკლებდა, ჩემი ჯიშისა რომ არ ეროსო, ჰოდა, ავერ ბატონო ხეც და ცუდიც, მოვიმარაგოთ ბატიბუტი — პოპკორნი არა, ისა! ტოტალიზატორები ინტერესს არ ავლენენ, თორემ კაი ფსონები დაიდებოდა ერთმანეთის ჯინაზე...

აი, ასეთი თოფ-იარაღასხმულ აბჯროსანისა და უღე-ვანოს ფრთისქვეშ შეყუყუელი, იყვირებს და თვალებს დაქანავს, აბა, რას იზამს ეს ჩვენის ნაბეგვი დედას ლევანა. ვინმეს არ ეგონოს, თავს ვიმართლებ, ყოველდღე შევხვდები მერაბიშვილსო, — ლამის შარვილიდან ამოხტა გაჭირვებული საბეიშვილ-გრუშა, მაგრამ ბოლოს სად და როდის ნახა ვანიჩქა, ვერ გაიხსენა. რას გაიხსენებს, რაც ამას თავში მოხვდა, რუსის „ბარბანს“ არ მოხვედრია ამ სიხშირით და ნევროზიც აუკვიდა.

არ არის გამორიცხული, კასტეტა-ცისკარიშვილის, კაპოტაკირკიტაძისა და გრუშა-საბეიშვილის სამეულმა პარტიაში თანამდებობები გადაინაწილნო — ის გიორგი ბოტკოველი და ბადრი ბასიშვილი შლეიფად გაჰყვებიან? არა, მინც რად უნდათ ეს გრუშა-საბეიშვილი, სტალინი რომ კაი

„ნაცმოძრაობას“ გავზოლავთ ავუზენებთ და მის მუხიას იმ დავასვენივით

ჩვენ ახლა ნაცების პანაშვიდს ვესწრებით



„საერთო საზოგადოების“ სტუმარი მხატვარი შოთა გორენავა

— ბატონო შოთა, „ნაცმოძრაობაში“ დიდი განხეთქილებაა. ხელისუფლებას საყოველთაო დაუმორჩილებლობასა და ცხელ შემოღობვას ჰპირდებიან, თუმცა ახლა საკუთარ პარტიამ ატარებენ რიგგარეშე არჩევნებს.

— „ნაცმოძრაობა“ გარე მსოფლიოში მოგვახვედრებს თავს — „ქართულ ოცნებას“ და დასავლეთის შორის ნაცების, როგორც პარტიის შესანარჩუნებლად, ერთგვარი პარლამენტის თავმჯდომარე და ვინც დასახელდა, მათაც უარი განაცხადებს. მალე, ალბათ, ამ თანამდებობაზე ვაკანსია გამოცხადდება...

— ... თუ ვის დადებენ მავზოლეუმში, ხომ ჩემს ერთ წინასწარმეტყველებას გაგანდობთ — მელა შეიძლება „ქართულ ოცნებაში“ აღმოჩნდეს.

— ეს როგორ? — ნაცებს ხომ პროფესია არ აქვთ, სხვა არაფერი შეუძლიათ. ამიტომ, ბულგაკოვის რომანისა არ იყოს, სადაც ხომ უნდა წავიდეს, რომ ჭამოს.

— როგორ ფიქრობთ, ვინ დგას ამ არეულობის უკან? — მნიშვნელობა არ აქვს, ნაცები მოღვაწეობას მაინც ლეიტალურად დაასრულებენ. ახლა იცით, რა მდგომარეობაა? — პაციენტის მოსულიერებას, გამოცოცხლებას ბოლოს დეფიბრილატორით რომ ცდილობენ, რათა ამოისუნთქოს. ნაცები ახლა დეფიბრილატორზე ჰყავთ შეერთებული, სხვა რეანიმაციულმა საშუალებებმა თავი უკვე ამოწურა მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფერში დიდი ფული ჩადეს. დიას, ფული, რაც დასავლეთიდან „ნაცმოძრაობა-

ში“ მოდის, საქართველოს ბიუჯეტს ბევრად აღემატება. — საუბრობენ, რომ განხეთქილების თავგადასავალი ფოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილია, რომელიც მელას დიად გაემიჯნა. — ასეთი ფიგურები არ მაინტერესებს. თავმჯდომარეობის საგარეულო მსურველთა კანდიდატების ვინაობაც პირველად ახლა თქვენგან გავიგე. მათი ხელფართი იმდენად უმნიშვნელოდ მიმაჩნია, რომ რეაგირების გარეშე ვტოვებ. მე უფრო ეგზოტიკური პერსონაჟები მაინტერესებს-ხოლმე. მაგალითად, ეკა უხერხულიძე და მსგავსნი — მათ როგორც თეატრალური მხატვარი იმ თვალთ ვუყურებ. პეტერბურგში თავის დროზე პეტრე პირველმა შექმნა მუხეუმი „კუნსტკამერა“, ხოლო იმ ნაწილს, რომელშიც სიმანხიჯეები და ბუნების შეცდომებია გამოფენილი „პანოპტიკუმი“ ჰქვია. ეს მუხეუმი ახლაც არსებობს, სადაც ბუნების შეცდომები და სიმანხიჯეები დიდ ქილებშია განთავსებული. ეს ბევრად საინტერესოა, როგორც ადამიანის დეგრადაციის გარკვეული ფორმა. აი, აქაც თუ გააკეთებენ მსგავს მუხეუმს და „ნაცმოძრაობის“ წევრებს შუშის ქილებში განთავსებენ, ძალიან საინტერესო იქნება. ხალხი მათ სანახავად ივლის და შემოსავალიც შემოუვათ. მათი ბოლოც ესაა. ყველა ნაცს თავისებური ემში აქვს. საინტერესო პერსონაჟები არიან. ვფიქრობ, ქართულ „პანოპტიკუმში“ განთავსებას ნამდვილად იმსახურებენ.

— „აი-რაიმ“ კვლევა გამოაქვეყნა, სადაც სანდოობის მიხედვით ბიძინა ივანიშვილი მეათე ადგილზეა. მას უსწრებენ ანა დოლიძე და გიორგი ვაშაძე. ეს რას ნიშნავს?

— „აი-რაიმ“ აჩემებული აქვს: კვლევები უნდა ვატაროთ. აქ ერთი მომენტიც არის გასათვალისწინებელი: „აი-რაიმ“ იქნება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ თუ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, ყველა უცხოეთიდან ფინანსდება. როცა შეკვეთას იღებ, საკუთარი თავი წარმოაჩინო, ვიდაცას იმიჯი შეუქმნა, სხვა რა გზა გრჩება? — მაქსიმალურად უნდა შეეცადო, იგი ისეთ პერსონაჟს შეადარო, რომელსაც მართლაც დიდი რეიტინგი, საზოგადოების მხრიდან პატივისცემა და ერთგვარი რენომე აქვს. ივანიშვილი, რომელიც უდიდესი ქველმოქმედი, ქვეყანაში დიდი რეიტინგით სარგებლობს. მან ქვეყანა მასხარა და სადისტი ნაცებისგან გაათავისუფლა. „აი-რაიმ“ ივანიშვილზე მაღლა ეს ურეიტინგო



5 გზ. —>

ქართულ შავლავინოდალეულზე ხრუშჩოვს აცეკვებდა, ასე უნდა ატინგიცონ? — ამ ტიპის ფორტუნისა ვერაფერი გავიგე... ეს ჩვენის მსხალმთხლევიანი კაცურად მებრალეობა კიდევ, ცოლოა ტიპი, ინფარქტის დამართებენ და მამა-მე-ლია ჩემ ფეხებს უშევილის...

მეორე მხრიდან წარმოდგენილ „რაინდებს“ „ჯონზე წამოცმული ცხენის თავი“ მინაშვილ-სიდეროვიჩი უმშვენიეს გვერდს — როგორ დაჩაივებულა საწყალი, სიდეროვიჩი ანერვიულებს, ეტყობა...

სამუშაო ჯგუფს ქმნიან თურმე ბიჭები „სახალადეცე ღორის თავი“ — ნუგზარ წიკლაურის, კობა ნაყოფიასა (კობა როა ნაყოფია/ ნეტავ, გამომაყოფია) და ბაჩო დოლიძის შემადგენლობით — ეს დოლიძე ვინდა შაშა-კოლაა?

კუბლარა-ბარამიძე დუდლუნებს, ეს არჩევნები სამართლიანი, გამჭვირვალე და გასაგები რომ იყოს, ისე ვიზრუნებ, მაგრამ ვიქნარებ, მაგრამ არც ზედმეტად ვიქნარებო.

რომ გადახედო მთელ ამ კრიმინალურ ნაცაჯაფსანდალს, ყველაზე უმწიკვლოდ მაინც ნიკა მელია ჩაითვლება — ერთი ბეხლენი ყავანაა, თორემ გული კეთილი აქვს, „კვესიტაძე და მეგობრების“ მუცლის გვრემამ ისე დაადარდინა, პირდაპირ ეთერშივე ჰკითხა



ოფლმდინარე ვენახის კალია ეკას, რა მუცლის გვრემა გაქვთ ატეხილიო?

ამ „მგლებში“ საიდან ჩაეკვება, რაცხა იმისი არ იყოს, ეს ჩვენის მამა-ძია ჩალაძე კი ვიცით, მაგრამ რაის „ნაცმოძრაობის“ პარტიის თავმჯდომარეობის სურვილი აუტყდა, სიმონ, საოჯახო სკამი კი არ არის ამოსაიღლიავებელი. მერე რა, რომ გიული ალასანიასთან ერთად ხშირად დადის მიპას მოსანახულებლად (მამა-ძიაა და ეკუთვნის), „კაკები“ მაგას არ მიაქვს და ცარიელი დედამისის მიყვანა რაში ეთვლება, ადგეს და გიულის ნაჯდომ გამთბარ სკამზე დაჯდეს, ბიჯოს! ისე, რაც ხალხი მამა-ძიას ეფერება, შენ გენაცვალე, ბიჭო, კვერცხებში, რაც სააკაშვილს დედა ვაგინეთ, შენ აგვისრულე ერთიანადო, „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარის სკამის ფეხი ცოტახნით მაინც დააჭერინონ ხელში...

ის ჩვენის ოცდათექვსმეტავადმყოფობაშეყრილი კი მრისხანედ დუმს, ჯერ სეფე-სიტყვა არ უთქვამს და ესინი რა რინგს მართავენ?

აღ-კუპონე გოცირიძემ სოცქსელში დაწერა: ხელი უნდა გაანძობო, თუ გინდა, რადაცას მიადწიო.

გაუწმინდე სათვალე და ცალი ყური ვინმემ ამ ჩვენის მრავალგზის გადანგრეულს და ჩასმახეთ: მოთხრობა ძია, რაც თქვენ ანძრევთ, მასე უნდა, მაგრამ რომ ვეღარაფერს აღწევთ, ხომ ხედავ და შენ მაინც დაოკდი, რომ ჩამოგიშვია ცხვირი ნავთის რიგში ბოლოს მიმსვლელებითო...

ეპ, მაინც გულნაკლულეები ვრჩებით მაღალი ძაბვის ოცნებადრტყმული ამ ვირთხების ვირთხობის მაყურებლები, რადგან „დიდ მამულიშვილებს“ ნაცავანსცენაზე ვერ ვხედავთ. მოვითმინოთ, ჩვენ აქ დავითოვით იმედი და ზეციურ საქართველოში ცხონებულმა რეზო ამაშუკელმა, ამ მოჯადოებული ნაცაჯაფსანდალის წევრების ნათლიამ, რომ ასადულებლად გამზადებული ორი ქვაბიდან, რომელიმეში მაინც ამოტივტივდებიან: „კარალევა მარგო“ (გიორგი მარგველაშვილი), „სონელი ჟორინოვსკი“ (კაკო ბობოხიძე), „რახიტაიანი პედოფილი“ (გივი თარგამაძე), „ლაბაბიანი გოდორი“ (ხათუნა გოგორიშვილი), „ფრანგული ბულდოგი“ (ზურაბ ჭიაბერაშვილი), „ზღვის ძროხა“ (შოთა უტიამშილი), „ახალშობილი ბეჰემოთი“ (გიგა ონიანი), „ხაბოზი“ (კობა ხაბაზი), „ბაკნიდან ამომხტარი კუ“ (შოთა მოლაშხია), „ნახამთრალი ტურა“ (დავით ბაქრაძე),

„ჭუჭყიანი შომპოლი“ (დავით დარჩიაშვილი), „რკინიგზის მიტოვებული სადგურის ტუალეტის ბუზი“ (გიორგი კანდელაკი), „გველიჭამია ბუ“ (გოკა გაბაშვილი), „გაჭყვლილთი გომბემო“ (ეკა ხერხეულიძე) და ა.შ.

მელია-ახალაიების მეგრული კლანის ქვაბის დარაჯად „ჯოჯოხეთიდან ამორწყვეული სიმანხიჯე“ (თეა თუთბერიძე) დადგება, საინფორმაციო უზრუნველყოფაზე კი იმუშავებენ: „პალსტუხიანი ხელიკი“ (გიორგი თარგამაძე), „კოლმეურნეობის თავმჯდომარე“ (დიანა ტრაპაიძე), „ტელევიზიის ოლეგ პაპოვი“ (ნანუკა ფორთოლიანი), „ოფისის დვარნიაშკა“ (თენგიზ გოგოტიშვილი), „ტელევიზიის რწვილი“ (მია ასათიანი), „ლამბერ-ფანსტომასი კონჩიტა ჯულიეტონა“ (გიორგი გაბუნია), „პომადიანი ბულდოგი“ (ინგა გრიგოლია), „გამხმარი თიმსალ-მაკო“ (ნინო ჟიფილაშვილი) და ა.შ. „შავნოდარას“ და „დედადაწინაურებული“ სანაიას თამადაობით.

ისე, რა მაგარი ჩამოსხმის ვირთხების ნაკრები უნდა იყოს, რომ ფულის გამო საკუთარი პარტიაც გამოდრდნან და საკუთარი მენჯის ძვლებიც ზედ მიაყოლონ... ჰაიდა, დედა კი მოუვააა!..

ზურაბ ოზნერაძე

როგორ იქნას შეუღლებილი დიქტატორი პოლიტიკაში?



გვესაუბრება პოლიტოგი კმტრე მამრამ:

— ბატონო პეტრე, რუსის ჯარმა შოიგუს ბრძანებით უკან დაიხია. უკრაინელები ხერსონში გამარჯვებას ზეიმობენ. რა ვითარებაა, ზოგადად, ფრონტის ხაზზე?

— ცოტა შორიდან დავიწყებ. პუტინი უკრაინაში ყირიმის ანექსიის მსგავს ოპერაციას გეგმავდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი სამხედრო დაპირისპირების გარეშე, 2-3 დღე-ღამეში დასრულდებოდა. ყირიმში ხომ ერთი გასროლაც არ ყოფილა, ანექსია ისე მოხდა. პუტინს არწმუნებდნენ, რომ უკრაინელი ხალხი მას მხურვალედ მიესალმებოდა, იქ ზელენსკის პრეზიდენტობა აღარავის სურდა და იანუკოვიჩის დაბრუნება უნდოდა. შესაბამისად, რუსულ ჯარს თავიგულებით და ტაშით შეხვედებიანო. რუსი ოფიცრების ჩემოდნებში დაუთოებული საპარადო ფორმები აღმოჩნდა, რასაც ტყვედ ჩავარდნილები ადასტურებდნენ. თუმცა, მხოლოდ პუტინისთვის კი არა, დასავლეთისთვისაც სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა — უკრაინულმა არმიამ რუსულ ჯარს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია. გენერალმა ზალუჟნიჩმ ეს გეგმა საიდუმლოდ მოამზადა ისე, რომ არც ზელენსკის გაანდო და არც ამერიკულ პარტნიორებს. გეგამ იმუშავა და რუსულმა ჯარმა კიევიდან დაიხია. პუტინს ჯარის გაწვევა სამარცხვინო მარცხად ჩათვალდა. გერმანია, იგივე აშშ და სხვა ქვეყნები ვარაუდობდნენ, რომ უკრაინა ომს სამ დღეზე მეტს ვერ გაუძლებდა. ბაიდენი ზელენსკის უკრაინიდან გაყვანას სთავაზობდა. 24 თებერვალს გერმანიაში უკრაინის ელჩი გერმანიის ეკონომიკის მინისტრს ზღვებოდა. შეხვედრა ომამდე იყო ჩანიშნული, სადაც ეკონომიკურ თანამშრომლობაზე უნდა წარმართულიყო საუბარი, თუმცა ელჩმა მინისტრს სხვა რამ უთხრა: მაქსიმუმ 24 საათში რუსეთის ფედერაცია მთელ უკრაინას შეიერთებს და ამის შემდეგ როგორ დაგეხმაროთო. ასე ფიქრობდნენ რუსეთშიც, დასავლეთშიც და ამერიკაშიც. ომი გაგრძელდა და მალევე გაირკვა, რომ თურმე, რუსეთის არმიას არც ორგანიზაციულად და

არც სამხედრო ტექნიკის მხრივ, თანამედროვე ომის წარმოება არ ძალუძს. მოგეხსენებათ, როგორი იყო წლების განმავლობაში პუტინის პროპაგანდა — რუსეთის არმია აღდგა, გაძლიერდა, მსოფლიოში რიგით მეორეაო. თურმე ეს ბლეფი იყო. ბრძოლისას აღმოჩნდა, რომ ეს ძველი, უვარგისი იარაღია, ჭურჭების დიდი ნაწილი არც ფეთქდება, ბევრი ქვეშეხი და რაკეტა თანამედროვე მოწინავე საბრძოლო იარაღს ბევრად ჩამორჩება. ასევე გამოიკვეთა, რომ თავგანწირვით ბრძოლის მოტივაცია რუს ჯარისკაცებს არ ჰქონდათ და არც აქვთ. ამავდროულად, საინტერესოა, რომ რუსეთში, ერთი მხრივ, პუტინის რეიტინგი გაიზარდა. ხალხის დიდ ნაწილს სჯეროდა, რომ თითქოს უკრაინა ნატოში შედიოდა და რუსეთს საფრთხე ემუქრებოდა. თუმცა, სულ სხვაა მოწინავე და სხვაა რეალური მხარდაჭერა. მხარდაჭერა რეალურია, როცა ადამიანები მზად არიან, მსხვერპლი გაიღონ. ანუ, ომში თუნდაც ნებაყოფლობით თავად წავიდნენ, ან შვილები გაგზავნონ, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს. გაირკვა, რომ მათ ომში ბრძოლა არ უნდათ და არც შვილების გაგზავნას აპირებენ. ამის ნათელი მაგალითია პუტინის სპეცოპერაციის ჩაფლავების მერე გამოცხადებული მოზღვიანობის შედეგები — მილიონობით რუსი სხვადასხვა მიმართულებით გაბოდა, ბევრი მათგანი საქართველოშიც შემოვიდა და ცენტრალური აზიის ქვეყნებშიც გადავიდა. ზოგიც აქვე დარჩა. მოსკოვი-სტამბოლის ბილეთი ათი ათასი დოლარი ღირდა. ლარსიდან წასვლა კი ბევრად იაფი ჯდებოდა. რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს? — რუსეთის სახელმწიფო ინსტიტუტები სრულიად გახრწნილია და პოი, საოცრებაც — 18-ოდე თანამედროვე საარტილერიო სარაკეტო დანადგარი — „ჰაიმარსი“ რუსეთის ვეებერთელა ჯარს ამარცხებს. ისიც სასწაულია, რომ რვა თვის განმავლობაში რუსეთმა ვერცერთი დანადგარი ვერ გაანადგურა. ხოლო „ჰაიმარსის“ რაკეტებმა ვითომ ყველაზე მოწინავე „ეს-300“-ები გაანადგურეს, გემი ჩაძირეს და ბოლოს, შოიგუმ გასცა ბრძანება, რუსულ ჯარს ხერსონი დაეტოვებინა. 2-3-დღიანი ბლიც-

პერაციის ნაცვლად, რაც პუტინს სურდა, მივიღეთ ომი, რომელმაც ჩვენს თვალწინ გეოპოლიტიკური სურათი შეცვალა, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაში. ცვლილებები ჯერ კიდევ ყარაბაღის ომის შემდეგ დაიწყო. შესაბამისად, სიტუაცია იცვლება, როგორც ევროპაში, ისე უკრაინაში, რუსეთში. ერთი რამ ცხადია, პუტინის ფენომენისთვის დამარცხება შეუთავსებელია.

— ანუ, მსოფლიო ბირთვული საფრთხის წინაშე დგება?

— კი ბატონო, ალბათობა დიდია. როცა პუტინი დაინახავს, რომ მარცხისთვის განწირულია, შესაძლოა, ბირთვული იარაღის გამოყენების ბრძანება გასცეს. მას ტაქტიკური ბირთვული იარაღი ნამდვილად გააჩნია. თუმცა, ამ ქონების განახლება დიდი ხანია არ მომხდარა. რადგან იქ რადიაციული პროცესები არ ჩერდება, მათი დიდი ნაწილი ჯართად არის ქცეული. რუსეთის კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერები ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს წუხდნენ, რომ საბჭოთა კავშირს აღარ გააჩნდა ბირთვული ფარი, რაც მათ ჩინეთის აგრესიის შემთხვევაში დაიცავდა, ვინაიდან ამ უკანასკნელს კონვენციური იარაღით და ჯართი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ.

— ბატონო პეტრე, რუსეთის მარცხის შემთხვევაში მის დაშლაზე საუბრობენ. რა ელის საქართველოს?

— ჩვენზე ძალიან ცოტა რამ არის დამოკიდებული. ამ მასშტაბის მოვლენებზე რა გავლენა უნდა ვიქონიოთ?! თუმცა, ერთი რამ შეგვიძლია — შეცდომა არ დავეშვათ და რეგიონში თავი არ ავიფეთქოთ. რამდენად შეინარჩუნება რეგიონში სტაბილურობას საქართველო და ზოგი სხვა ქვეყანა, ამაზე ბეჭინსკის დიდი კითხვის ნიშნები ჰქონდა. ასე რომ, პროგნოზირება ძალიან რთულია. არავინ იცის, პუტინი ბირთვული იარაღის გამოყენების ბრძანებას თუ გასცემს, ეს რამდენად შესრულდება. აშშ-მ ღიად განაცხადა, რომ პუტინი იარაღს ვერ გამოიყენებს, რადგან მის ყოველ მოქმედებას დასავლეთი, აშშ აკონტროლებს. იარაღის ასამოქმედებლად გარკვეული მოძრაობებია შესასრულებელი, რაც კოსმოსიდან, ასევე, ადგილობრი-

ვი დახვეწის მუშევრებით, კარგად გამოჩნდება. შესაბამისად, მაშინვე კონვენციური იარაღს გამოიყენებენ და იმ ადგილს მოსპობენ, სადაც იმ მომენტში პუტინი იქნება. ასევე, მოსპობენ მართვის ყველა ცენტრს. რუსმა სამხედროებმა კარგად იცინ, რომ ეს მუქარა ფუჭი არ არის. მეტიც, ამერიკელებმა რუსეთის ხელმძღვანელობას შეუთვალეს, რომ ყოველთვის ზუსტად იციან, პუტინი სად იმყოფება. ამის დასტურად ორი-სამი კვირის, საათებსა და წუთებში გაწერილი მისი გადაადგილების სქემა გადასცეს. პირველი ვარიანტი პუტინი, ალბათ, გენერლებს ბირთვული იარაღის გამოყენებაზე დაელაპარაკება. ისინი არ დაემორჩილებიან. მერე რა მოხდება? იქ მართლა დილაკი კი არ არის, რამდენიმე კოდი ასაკრეფი. ეს ძალიან რთული პროცესია. ამერიკელები ამ მოქმედებას დაინახვენ. რაც შეეხება რუსეთის დაშლას, დასავლეთი ამ საკითხს აანალიზებს და ანგარიშობს, რა მოხდება რუსეთის დაშლის შემთხვევაში. შეგანსენებთ, საბჭოთა კავშირის დაშლის დროს დასავლეთში ამ საკითხზე წუხდნენ. პრეზიდენტი ბუში კიევიმ ჩავიდა და უკრაინელ ხალხს ეხვეწებოდა: ქვეყანა არავითარ შემთხვევაში არ დაშალეთო.

— ახლა აწყობს დასავლეთს დამოკიდებულება?

— არავითარ შემთხვევაში. 2000 წელს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ბუშის, გორბაჩოვისა და ელცინის გრიფით საიდუმლო ჩანაწერი გამოაქვეყნა, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლაზეა საუბარი. „ვიმლებით, არაფერი შეგვიძლია იმიტომ, რომ უკრაინის რეფერენდუმის შედეგები წინასწარი ვიცი, საქართველო და სომხეთიც გასულია, ბალტიისპირეთის ქვეყნები არავითარ შემთხვევაში არ დარჩებიან, იარაღის გამოყენების საშუალება არ გვაქვს, წარმოიდგინეთ, ხელთ გვრჩება ქვეყანა, რომლის პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები იქნებიან. ბატონო პრეზიდენტო, თქვენ დაუშვებთ იმას, რომ გაჩნდეს ზესახელმწიფო იარაღის სრული არსენალით, სადაც პარლამენტის უმრავლესობაში მულტირელიგიური დეპუტაცია ეყოლება? — ეკითხება ელცინი ამერიკის პრეზიდენტს. ბუშიც პასუხობს: რა გაეწობა. მას შემდეგ, რაც უკრაინამ დაადასტურა, რომ ბირთვულ

იარაღს რუსეთს გადასცემდა, რუსებმა და ამერიკელებმა უკრაინის დამოუკიდებლობა აღიარეს. ასე ზრუნავდნენ უსაფრთხოებაზე. ის, რომ დასავლეთი საბჭოთა კავშირის დაშლაზე მუშაობდა, ზღაპრებია. ასეთი რამ არ ყოფილა. მუშაობდნენ მხოლოდ შეკავებაზე. იმიტომ, რომ იმ დიოტურ დოქტრინისა და ინერციის გამო, სსრკ მილიარდებს ხარჯავდა, რათა მთელ მსოფლიოში — აფრიკაში, ცენტრალურ სამხრეთ ამერიკაში, ინდონეზიაში პროლეტარული რევოლუციები მოეხდინათ, ხელი-სუფლებამო რეჟიმები დაეყვით, რათა იქ თავისი ბაზები განეღებინათ. აი, ამას უშლიდნენ ხელს, თორემ თავად რუსეთის წინააღმდეგ არავინ წასულა. კომპარულ სიზმარშიც კი არავის უფიქრია, რომ რუსეთის საზღვრები შეელანა. ეს იყო შეკავება — შენი საზღვრები გაქვს და გქონდეს, არავინ გერჩის, ოღონდ, აქეთ ნუ მოდიხარ — სულ ეს იყო.

— ევროპარლამენტი ხელი-სუფლებას სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანას და გვარამიას გათავისუფლებას სთხოვს. რა მოსაზრება გაქვთ ამის თაობაზე?

— ევროპარლამენტი სულაც არ გახლავთ სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყნის პარლამენტის ანალოგი. ღიას, მას ბევრად ნაკლები უფლება აქვს, ვიდრე სუვერენული ქვეყნის პარლამენტს. იქ არის ადამიანების მცირე ნაწილი, რომლებიც საქართველოში ნამყოფნი არიან. სამწუხაროდ, იმ მცირე ნაწილში სრულიად დომინირებენ სააკაშვილის ყოფილი ლობისტები. „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა, შეექმნა ჯგუფი, რომელიც კარგად გაეცნობოდა, რა ხდებოდა რეალურად მიმას დროს საქართველოში. საოცარი რამ მოხდა: სააკაშვილის რეჟიმის ბოლო წლებში, მსოფლიოში არაერთმა ცნობილმა პოლიტოლოგმა პირადად სააკაშვილზე, ასევე, მის სადისტურ, ავტორიტარულ და კლექტორატულ რეჟიმზე სრული სიძარღვე დაწერა. 2010 წელს „სპაი ნიუსმა“ შემოიღო ცნება — სააკაშვილი და მისი კლოუნების თეატრი. ასევე იწერებოდა, რომ სააკაშვილი პატარა, კავკასიური ქვეყნის შემოღილი დიქტატორია. ევროსაბჭოს უზუნაესი კომისარი თომას ჰამბერგევიწერდა, რომ საქართველოში არის



383.

ხალხი დააყენა. ანუ, ციფრების მანიპულაციით ეს ადამიანები, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორები, ისე წარმოაჩინა. „აი-რა-იმ“ მშვენივრად იცის, რომ დავით ბაქრაძე არაფერს წარმოადგენდა და რეიტინგში მაინც პირველ ადგილზე ჰყავდა. სად გაქრა ახლა ბაქრაძე?! იმდენი იკადრეს, როგორც ზემოთ ვახსენე, ლამის პატრიარქს გაუთანაბრეს. ჯერ, საერთოდ, სად გაგონილა პატრიარქის რეიტინგის აზომვა! ეს ზომ აბსოლუტური აბსურდი და შეურაცხყოფაა. თუკი რომელიმე ქვეყანაში „აი-რა-იმ“ სერიოზულ ავტორიტეტს წარმოადგენს, საქართველოში, ამ თვალსაზრისით, აღნიშნულმა ორგანიზაციამ სრულ ფსკერს მიაღწია.

— ბატონო შოთა, ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებზე რას გვეტყვი?

— ზოგადად, დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში არსებულ დღევანდელ პოლიტიკურ ელიტებზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილების ვარ. აღნიშნული რეზოლუციები რეალობას აბსოლუტურად მოკლებულია და საქართველოსთან არავითარი კავშირი არ აქვს.

გაკეთებული. მე მემარცხენე ვარ და მდიდარი ხალხი დიდად არ მიყვარს. ზოგადად, კაპიტალიზმი არასწორ წყობად მიმაჩნია. მაგრამ ადამიანურად ივანიშვილის მდგომარეობაში შევდივარ, რადგან მის წინააღმდეგ საშინელი თავდასხმა ზორციელდება როგორც მორალური, ისე სანქციების სახით და ა.შ. უკრაინის ხელისუფლება, რომელიც ძალიან მარგინალურია, წარმოუდგენელ რაღაცებს ითხოვს.

— ზელენსკიმ დაგვაშვიდა: რადგან თქვენ არ შეგიძლიათ, ქართველებო, ჩვენ დაგეხმარებით დეოლიგარქიზაციაში.

— სჯობს, ზელენსკიმ თავის გემს მიხედოს. ამ თემაზე საუბარ-



ბელია „ქართულ ოცნებაში“ მიღის?!

ბუნების მეცდომები – დეგრადირებული ნაცები შუმის ქილებით ქართულ „პანოპტიკუმში“ განვათავსოთ – ხალხი მათ სანახავად ივლის და შემოსავალიც შემოუვათ

რი ძნელია, რადგან უკრაინელი ხალხი დიდ განსაცდელშია და ამ სიტუაციაში მისი კრიტიკა რთულია. თუმცა რა ეპითეტები თაყ უკრაინის პრეზიდენტი ქართველებს გვაძოვებს, ამისთვის პასუხი კაცურად უნდა მოეთხოვოს. ზელენსკის ზომ არ ჰგონია, ისეთივე მასხარები ვართ, როგორიც თავად არის?! ჩვენ კაკაკსიელი ხალხი ვართ და ჩვენი ადამიანური გუბანს როგორ ბედავს

ყოფით კონტექსტში მოიხსენიო. ვიმეორებ, ოლიგარქი, პირიქით, სახელმწიფოს თავისი ქონების კეთილდღეობისთვის იყენებს. „ოლიგარქი“ ივანიშვილი კი ქვეყნის სამსახურშია. მისი პირადი ქონების დიდი ნაწილი სახელმწიფოს ხმარდება. ივანიშვილი გაჭირვების დროს სახელმწიფოს გვერდში დგომის ერთგვარი გარანტია.

— კუბილიუსები და სხვანი გვიმტკიცებენ: სააკაშვილი პოლიტიკაში მარადია. თუ განსოვთ, მათი პროტესტი, როცა მიშა ციხეში პატიმრებს აწამებდა?

— მაშინ მათ ტრენდში, დოქტრინაში ჯდება ის, რასაც სააკაშვილი აკეთებდა. ახლა 12-პუნქტიანი დავალება გამოგვიგზავნეს, გვერთება, 12 მოციქული იყვნენ. მთავარია, ღირსება შევინარჩუნოთ, ქართული პოლიტიკა ვაწარმოოთ და საკუთარი აზრი გაგვანდეს. ეს როდინიშნავს, რომ მეზობლებს, იგივე მსოფლიო მიმართულებებს ანგარიში არ გავუწიოთ. მაგრამ სუვერენიტეტი სრულიად არ უნდა დაგვარგოთ და როგორც ილია ამბობდა: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყვანოდეს. ასეთ დამოუკიდებლობას უნდა მივადღვიოთ. ახლა, სამწუხაროდ, დამოუკიდებელი არ ვართ. იდეალურად დამოუკიდებელი არცერთი ქვეყანა არ არის, მაგრამ ამისთვის იბრძვიან. ჩვენთან ამ ბრძოლაში მხოლოდ გამონაკლისები არიან. მაგალითად, ლარიბაშვილი, რომელიც ცდილობს, ამ გამოწვევას ღირსეულად უპასუხო.

— ავიჩემეთ: ევროკავშირში უნდა შევიდეთო. ეს არის ქვეყნის განვითარების გზა?

— მაკრონმა პირდაპირ გვითხრა, რომ გეოგრაფიულად ევროპა არ ხართო, რაც ერთგვარი მითითება იყო. დასავლეთი პირდაპირ, ცინიკურად გვეუბნება: თქვენ ევროკავშირის ღირსნი არ ხართ, არამედ გვეჭირდებათ, რათა რუსეთის წინააღმდეგ, მის საზღვართან პრობლემები გააჩინოთ.

ისინი თანაბარუფლებიანად არ გვთვლიან. აი, სად ჩანს დემოკრატიზმი ჩარევა. ევროკავშირი, ევროპარლამენტი თუ ევროკომისია იმ ხალხებს არ წარმოადგენენ, ვისი უფლებების დასაცავად არიან იქ მივლენილი. ისინი ტრანსნაციონალური კომპანიები და სხვადასხვა მარგინალური პიროვნებების გავლენის აგენტები არიან. ევროპელი ხალხის წინააღმდეგი არ ვარ. ეს ზომ ძირითად ნაწილში ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილია. ევროპის კრიტიკა უნდა შეგვეძლოს და მისგან მხოლოდ სიკეთე გადმოვიდოთ. ევროპელები ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეები არიან. ევროკავშირი სერიოზულმა ხალხმა შექმნა, რომელიც სხვა ფასეულობებით საზრდობდა. ევროკავშირი სულ სხვა რამისთვის შეიქმნა. იგი ერთგვარი რეფლექსია იყო იმაზე, რაც მეორე მსოფლიო ომს მოჰყვა. დიახ, ევროკავშირი სიკეთისკენ მიმავალი სივრცე უნდა ყოფილიყო და გაერთიანება უნდა მომხდარიყო იმისთვის, რათა ფაშინში ადარ განმეორებულიყო. ჩვენ თუ იმ ფაშინში მაგვირად, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს იყო, ლიბერალურ ფაშინში მივიღებთ, ეს ევროპა აღარ არის.

— ანუ დასავლურმა სამყარომ დღეს იმუნიტეტი დაკარგა, დასავლეთში დემოკრატიის დეფიციტი გაჩნდა?

— დემოკრატია აუცილებელი დოგმა არ არის. ამაზე როდია საუბარი. დემოკრატია მმართველობის ფორმაა. ამ დასავლეთში საზრისი რა არის? დასავლეთს ამ ცივილიზაციის საქრისტიანოს ეძახდნენ, ხომ. საქრისტიანოს საზრისი ქრისტია. ქრისტიანობა ქრისტეს გარეშე არ შეიძლება. ადამიანობა არ უნდა დაგვარგოთ. რაც ახლა შუაგულ ევროპაში ხდება, ქრისტიანული არ არის.

— ჩვენ სულ იმის ფიქრში ვართ, ვის მივუხდებითო. რა უნდა იყოს ქართული სახელმწიფოს საზრუნავი?

— ქართული სახელმწიფო იმიტომ გადარჩა, რომ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც მის მარადიულობას ემსახურებოდნენ. შეიძლება ტერიტორია წაგვართვან, დაგვიპყრონ, მაგრამ ჩვენი კულტურა, ენა, სარწმუნოება არ უნდა დაგვარგოთ. ყველა ამ დიდ საქმეს უნდა ემსახურებოდეს და არა ენჯელოს, რომლებიც აქ, საქართველოში ვიღაც ტინკების მიერ არიან მოვლენილი. ქართული კულტურის მომავალი ჯანმრთელ ფუძეზე უნდა შეიქმნას.

— ორიოდ დღის წინ ევროპარლამენტარებმა დარიბაშვილს გვარამიას გაათავისუფლება მოსთხოვეს. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?

— ... თორემ შავ დღეს დაგვიყენებთ: ცულს მოვიტანთ ცუნცულასა, ხელეჩოს და წალდუნასო, ზომ. ერთი ბარტყი გადმოგვიგდეთო, დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა. ეს მარგინალი, აბსოლუტურად ამორალური ხალხის მხრიდან ძალადობაა. როგორ ბედავენ ასე საუბარს. ჩვენ გვაქვს სასამართლო, რომელმაც სააკაშვილსაც და ნაცთა გვარამსაც სასჯელი დააკისრა. მე თუ მკითხავთ: რაც მიუსაჯეს, ძალიან ცოტაა. ჩვენი სასამართლო უნდა დავიცვათ. ევროპარლამენტარებმა პატივი უნდა გვცვენ. ცოტა მაგრად უნდა დაგვდეთ. ევროპას შიშით ჩასვრილები არ უნდა ველაპარაკებოდეთ.

— ოპოზიცია ფიქრობს, რომ ხალხი რადიკალიზმის მომხრეა. რეალურად, რა დაკვეთა მოდის საზოგადოებისგან?

— ამ სერიალს უკვე აღარავინ უყურებს. ახლა 90-იანი წლების დასაწყისის სერილები რომ აჩვენონ, ხალხს ხომ ინტერესი აღარ ექნება. მათ უკვე უფრო საინტერესო სერიები ნახეს. რადიკალი ოპოზიცია აბსოლუტურად ვადაგასული პროდუქტია. როდემდე უნდა გადადიოდნენ უსუფაშვილი, ძმები ბერძენიშვილები და ა.შ. ერთი პარტიიდან მეორეში? ეს კარუსელი როდემდე უნდა გრძელდებოდეს. არჩვენებში მოქმედ სომხურ კარუსელს დაემსგავსენ, სადაც ხალხი ერთ „მარშუტაში“ ჯდება და უბან-უბან დიდის. ეს პარტიებიც ასე არიან. თუმცა, ისინი კარგი მანქანები-თაც დადიან. ხალხს ნაცების და მათი მსგავსი დანახვაც არ უნდა. მელიამ ვიღაცას შეაფურთხა, ვინ ვის დაარტყა — ეს აღარავინ აინტერესებს.

თამარ შველიძე
555 23 28 24



მუდმივად ცდილობენ, თავს მოგვახვიონ ის, რაც ჩვენი ქვეყნის ღირებულებებისგან შორსაა. ეს ევროპარლამენტარები ვიოლა ფონ კრამონ-გრამაფონია, თუ მაიკ პომპეო-პომპეუსი, მარგინალი არიან. ეს ხალხი არის ქაფი, რომელიც იმ საწყალმა ევროპულმა ცივილიზაციამ გაიკეთა, ახლა სულს რომ დაფავს.

— ჩვენი დაუძინებელი პარტნიორები გვეუბნებიან: დეოლიგარქიზაცია ივანიშვილის ფარული მმართველობის დასასრულს ნიშნავსო. რა უნდა ევროპას?

— ბარემ, პირდაპირ მოითხოვონ, რომ ივანიშვილი დაეხვრითოთ. რას ითხოვენ, არ მესმის. ადამიანს ან აქვს ავტორიტეტი ან — არა. რას გვთავაზობენ, რომ ივანიშვილს ეს ავტორიტეტი წავართვათ?! კი მაგრამ, როგორ? მათ სურთ, ბატონო ბიძინა ქვეყანას ჩამოაცილონ და გაანადგურონ. ივანიშვილს არაერთი კეთილი საქმე აქვს ქვეყნისთვის

ამერიკული საზოგადოება ასეთი პოლარიზებული არასდროს ყოფილა

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:

— ბატონო სოსო, 8 ნოემბერს ამერიკაში შუალედური არჩევნები ჩატარდა. რა შედეგები იქნება ამ ეტაპზე — ფსევდო-ლიბერალიზმის ეპოქა დასრულდა და ტრადიციული კონსერვატიზმის ხანა იწყება?

— ერთი არჩევნების შედეგებით ეპოქები არც მთავრდება და არც იწყება. ასე რომ იყოს, მაშინ ტრამპის გამარჯვების შემდეგ დემოკრატიული ლიბერალიზმი უნდა დამთავრებულიყო. შუალედური არჩევნები 1845 წლიდან ტარდება. ამერიკის მამა-დამფუძნებლები — ჯეფერსონები, გრანტები, ედისონები, მთელი თაობა გენიოსები იყვნენ. პარლამენტის ორივე პალატა ყოველ ორი წელიწადში ერთხელ უნდა განახლდეს — სენატი, ამჯერად, ნაწილობრივ და წარმომადგენელთა პალატა სრულად. ჩვეულებრივ, პრეზიდენტის გუნდი შუალედურ არჩევნებს აგებს. ამომრჩეველი ახალი პრეზიდენტისგან უფრო მეტს ელოდება, ხალხის იმედგაცრუების ფონზე კი ხმებს კარგავს. გამონაკლისი იყო, როცა ბუში-უმიცროსმა ორი არჩევნები მოიგო. ეს 11 სექტემბრის ტერაქტის ფონზე მოხდა. დღეს ცნობილია, რომ წარმომადგენელთა პალატა დემოკრატებმა დაკარგეს, სენატში გამარჯვება დემოკრატებს დარჩათ. ასეც რომ არ იყოს, ეს როდი ნიშნავს, რომ პრეზიდენტი ხელ-ფეხშეკრული იქნებოდა. გავიხსენოთ, რეიგანმა რომ გაიმარჯვა, მაშინ ორივე პალატაში დემოკრატები იყვნენ. თუმცა, რეიგანი ერთ-ერთი წარმატებული პრეზიდენტი გახლდათ. მონოპოლია არცერთ მხარეს არ არის. კი, წარმომადგენლობით პალატას შეუძლია, მიიღოს ისეთი კანონები, რაც პრეზიდენტს არ აწყობს, მაგრამ ამ უკანასკნელს შეუძლია მათ ვეტო დაადოს. ეს ზურაბიშვილის დადებული ვეტო არ გეგონოთ, რომელსაც ჩვენი უმრავლესობა 15 წუთში აბათილებს. ამერიკაში ვეტო რომ დაძლიონ, ორივე პალატაში 2/3 ხმის უპირატესო-

ბაა საჭირო, რაც საკმაოდ რთულია. ამიტომ პრეზიდენტის ხელში ძლიერი ბერკეტი არსებობს, რასაც თავის დროზე რეიგანი წარმატებით იყენებდა. კონკრეტულ შემთხვევაში ყველას გვაინტერესებს უკრაინისადმი დამოკიდებულება. მართალია, წარმომადგენელთა პალატაში გრინმა სკანდალური განცხადება გააკეთა: ერთ ცენტსაც ვეღარ მიიღებს უკრაინაო. მაგრამ ეს ფეიკ-განცხადებაა. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ლენდ-ლიზის კანონი უკვე მიღებული და პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილია. 40 მილიარდი დოლარი უკრაინისათვის დახმარება კანონად არის ქცეული. ამას ვერავინ შეცვლის, მათ შორის, ვერც ტრამპის მოსვლა. ამჯერად, უკრაინას ორპარტიული დახმარება გარანტირებული აქვს. მოწინააღმდეგეების აბსოლუტური უმრავლესობაც დახმარებაზე თანახმაა, უბრალოდ, ამბობენ: ვიცოდეთ, ეს ფული სად იხარჯება, რადგან ვრცელდება ფეიკ-ინფორმაციები, რომ უკრაინელები ამ იარაღს ყიდვიან და მერე ტერორისტებს უვარდობათ ხელში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დემოკრატებმა სენატი შეინარჩუნეს. თუმცა, ისინი შეგუბუნები იყვნენ, რომ ერთ პალატას დაკარგავდნენ, მაგრამ იმედი უფრო რესპუბლიკელებს გაუცრუვდათ. მათ ეგონათ, რომ დემოკრატებს დამანგრეველი მარცხი ელოდათ. ასე რომ, დიდად არაფერი შეცვლილა. 2024 წლის არჩევნებზე, რასაკვირველია, ეს შედეგები გავლენას იქონიებს. 15 ნოემბერს ტრამპმა განცხადება უნდა გააკეთოს, ალბათ, იმის თაობაზე, რომ 2024 წელს არჩევნებში კენჭს იყრის, მაგრამ მას შეიძლება მისსავე პარტიაში კონკურენტები გამოუჩინდნენ. მაგალითად, ფლორიდაში მერედ გაიმარჯვა გუბერნატორმა რონ დესანტისმა. ტრამპი დაემუქრა: თუ ჩემს წინააღმდეგ პრეზიდენტობაზე კენჭს იყრი, კომპრომატები მაქვს, პირადი ცხოვრების საიდუმლოებები ვიცი და გავასაჯაროებო.

— ბაიდენს კონგრესის ორივე პალატის მხარდაჭერა რომ დაეკარგა, შეძლებდა თუ არა ტრამპი

მისი იმპიჩმენტის ინიცირებას?

— ვერა იმპიჩმენტს ორივე პალატის ძალიან დიდი უპირატესობა სჭირდება, რაც რესპუბლიკელებს არ ექნებოდათ. ტრამპის იმპიჩმენტის მცდელობაც ხომ იყო, მაგრამ ჩავარდა. დემოკრატებს დიდი უპირატესობა არ ჰქონდათ და, შედეგად, ტრამპი უფრო მხრებში გაიმართა. იმპიჩმენტი რთული პროცედურაა. თავად რესპუბლიკელებიც ამ პროცედურას არ წამოიწყებდნენ, რადგან ამ შემთხვევაში დამარცხება ისევ და ისევ ბაიდენს გააძლიერებდა. პარტია იმპიჩმენტს მაშინ იწყებს, როცა გამარჯვებაში 100%-ით დარწმუნებულია.

— სენატში დემოკრატებმა გამარჯვება მაინც რჩება?

— დაძაბულობა რჩება იმიტომ, რომ ამერიკის საზოგადოება ასე პოლარიზებული, როგორც ახლაა, არასდროს ყოფილა. დიდი ქალაქები, სადაც ინტელიგენცია ცხოვრობს, განათლების დონე მაღალია, დემოკრატების გავლენის ქვეშაა, მაგრამ პროვინციებში, სოფლის რაიონებში, ტრამპის გავლენა ძლიერია. უკრაინის თემა დღეს ამერიკისთვის წამყვანი არ არის. დღეს, იცით, რაზე იყო დისკუსიები? მთავარი პრობლემა აბორტის საკითხია — უნდა ჰქონდეთ თუ არა შტატებს უფლება, რომ აბორტები თავად აკრძალონ. ეს მწვავე თემაა — დემოკრატები აბორტების უფლებას მოითხოვენ, რესპუბლიკელები კი ამის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. საქმე მარტივად ხომ არ არის — ხელოვნურად კლავ ბავშვს, რომელიც უკვე სუნთქავს. ასევე, მთავარი საკითხებია ინფლაცია, ეკონომიკა. წყალგამყოფი, ძირითადად, აქ არის. საერთოდ, ამერიკის არჩევნების ისტორიაში ძალიან იშვიათია, რომ წამყვანი თემა საგარეო პოლიტიკა იყოს.

— ანუ, არჩევნების შედეგები უკრაინის ომის ბედს ვერ წყვეტს? საუბრობდნენ, რომ რესპუბლიკელების გამარჯვების შემთხვევაში, უკრაინაში ომი დასრულდებოდა.



— არა. უკრაინაში ომი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დასრულდეს, თუ უკრაინელები ფრონტზე ძალიან დიდ წარმატებას მიაღწევენ. რუსეთის ოცნებაა, რომ ევროპის და ამერიკის მოსახლეობას ეს ომი მობეზრდეს. უკვე 7 მილიონამდე უკრაინელი ლტოლვილი მივიღეთ. პუტინის იტალიის არჩევნების იმედი ჰქონდა. იქ ულტრამემარჯვენეები მოვიდნენ, რომლებიც, ტრადიციულად, პუტინის მეგობრები არიან. მაგრამ პრემიერმა ჯორჯა მელონმა თავიდანვე განაცხადა: უკრაინისთვის დახმარება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება. პუტინმა ბევრი მომხრე დაკარგა. შეცდომა ის იყო, რომ მან შედეგები ზუსტად ვერ გათვალა. დასავლელი ექსპერტები მართალი აღმოჩნდნენ, როცა თქვეს: პუტინი ძალიან ძლიერი ტაქტიკოსია, მაგრამ ძალიან სუსტი სტრატეგიკოსი. პუტინმა ევროპის წინააღმდეგ ენერგეტიკული ომი წამოიწყო — გაზი შეუწყვიტა, იფიქრა, ევროპელებს გავეყნავო, მაგრამ, სინამდვილეში, დღეს ევროპას უფრო მეტი გაზი აქვს, ვიდრე სჭირდება. თუმცა ეს გაზი ორჯერ უფრო ძვირია. რუსული იაფი გაზი გაქრა, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსეთმა ყველაზე დიდი და მდიდარი ნახევარმილიარდიანი ბაზარი დაკარგა. დაიხ, დაკარგა ბაზარი, რომელიც მზად იყო, ნებისმიერი თანხა გადაეხადა, ოღონდ, გაზი მიეღო. ეს სტრატეგიული მარცხია. პუტინი ეძებს გზებს, სად გაყიდოს გაზი, ნავთობი — ინდოეთში, ჩინეთში თუ სადმე სხვაგან. იცით, იქ რამხელა დისკონტით ყიდის? რუსეთი მაინც ძლიერია იმით, რომ ერთი ბარელი ნავთობი მას 20 დოლარი უჯდება, მაგრამ 60 დოლარად რომ გაყიდოს, რაც ყველაზე დაბალი ფასია, მაინც დიდი მოგება აქვს. ბარელზე 40 დოლარი მოგებაა. რუსეთი დღეს ინდოეთში ნავთობს ორჯერ იაფად ყიდის. ანუ, რაც მსოფლიო ბაზარზე ფასებია, იმასთან შედარებით ორჯერ უფრო იაფად აწვდის ინდოეთს. ამის გამო ინდოეთი რუსეთის მომხრე არ არის, მაგრამ

არც მოწინააღმდეგეა. რაც შეეხება ჩინელებს, მათ თქვეს: ჩვენ რუსეთის გაზი შეიძლება არც დაგვჭირდესო. ვთქვათ, უკრაინამ ვერ გაიმარჯვა, რუსეთის სტრატეგიულად დამარცხების თვალსაზრისით მარტო ის ფაქტიც საკმარისია, რომ ევროპის ორი ახალი ქვეყანა — შვედეთი და ფინეთი ნატოში წევრიანდებიან. დღეს უკრაინაში შედგური იარაღი ყველაზე წარმატებულია. შვედეთი და ფინეთი ორი, სამხედრო თვალსაზრისით და ფინანსურად ძალიან ძლიერი ქვეყანაა. რუსეთის საზღვარი ნატოსთან 350-კილომეტრიანი გახდა. ბალტიის ზღვა უკვე ნატოს შიდა ტბა ხდება. პუტინი ითხოვდა, ნატოდან ის ქვეყნები გასულიყვნენ, რომლებიც იქ 1997 წლის მერე მიიღეს. ამ დროს პირიქით მოხდა — ნატოს ორი ახალი წევრი ემატება, თანაც ისინი, რომლებიც, ისტორიულად, ყოველთვის ნეიტრალურები იყვნენ. პუტინმა მთელი ევროპა ისე შეაშინა, ნეიტრალური შევედით კი ნატოს წევრი ხდება. დღესდღეობით რა ხდება ფრონტის ხაზზე? — რუსეთი უკრაინას ვერ ამარცხებს. მას 50 ქვეყანა ეხმარება. რამშტეინის პროგრამაში 50 სახელმწიფოა. მთელი ცივილიზებული სამყარო დღეს რუსეთს ებრძვის. რუსეთის მოკავშირე ვინ არის? — ირანი, ჩრდილოეთ კორეა, ბელორუსი. ირანში რით დამთავრდება ქალების სახალხო გამოსვლები, ჯერ არ ვიცი. სახალხო მოძრაობის ტალღამ შეიძლება ხელისუფლებაში გარკვეული ძვრები გამოიწვიოს.

— ზემოთ ახსენეთ, ამერიკის ელიტა დემოკრატების მხარესაა, პროვინციები კი — რესპუბლიკელებისო. ხომ არ არის სამოქალაქო ომის საშიშროება?

— არა. პროვინციებში, ძირითადად, ტრამპს უჭერენ მხარს. რესპუბლიკელებში, რა თქმა უნდა, განათლებული ელიტაც არის. სამოქალაქო ომის „ემხი“ 1860-65 წლებში ამერიკამ უკვე ნახა. ეს ისეთი გაკვეთილი იყო ამერიკელებისთვის, რამაც სახელმწიფო ინსტიტუტები გააძ-



როგორ იქცა უკრაინელი დიქტატორი პოლიტპატიმრად?!

← 4 33.

მასობრივი რეპრესიები, ათასობით ადამიანს ართმევენ ქონებას. ხალხი ქონების ჩამორთმევაზე ხელს აწერდა, რათა ციხეში სასტიკი მოპყრობა თავიდან აეცილებინა. საერთაშორისო ექსპერტი შტატებში უოლტერ რასელ მიდი წერდა, რომ სააკაშვილი ყველაზე ბოროტი მტერია, რომელიც ოდესმე ჰყოლია ქვეყანას. ლინკოლნ მიტჩელი თავის წერილში სააკაშვილზე ამბობდა, რომ მან თავისი მოქმედებით საქართველოს ნატოსკენ, ევროკავშირისკენ გზა ჩაუხურა. იგი, ასევე, წერს: ვინ აკეთებს პუტინის საქმეს? — რა თქმა უნდა, პირადად სააკაშვილი. დიხ, პუტინის პირადი აგენტიც კი ვერ გააკეთებს იმას, რაც სააკაშვილმა გააკეთაო. სააკაშვილის დიქტატურა, მისი პოლიციელების ჩექმების სიმწარე არაერთმა მოქალაქემ საკუთარ თავზე იწვნია. ის კი, ამ დროს აქეთ ჭკუას გავსწავლის, როგორი კარგი რეფორმატორია, — ამას წერდა სააკაშვილზე კორუფციასთან წამყვანი მეტროპოლიტ ბარცელა უმცროსი. აი, ამ ყველაფრის ფონზე, რაც ჩამოვთვალე, ისეთი რა უნდა გამოძრავებდეს, რომ კოლექტიური ფოტოგას მსგავსად, გამოხვიდე და თქვა: სააკაშვილი არის პატრიოტი, ამჟამად პოლიტპატიმარი და ა.შ. განა, რა მოტივაცია უნდა გქონდეს, რომ ამის თქმა იკადრო? — ეს ხომ ძალიან სამარცხვინოა. ეს იგივეა, რომელიმე ევროპელს ეთქვა: სადამ პუსეინი ნამდვილი პატრიოტია, თან ჩემი მეგობარია და ციხეში არ უნდა იჯდესო. აი, ეს მოხდა. ასეთი რეჟიმის შემქმნელი ხალხი ხელისუფლებას აკრიტიკებს. არადა, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების შედეგად (სხვათა შორის, „ქართული ოცნებას“ ამ ორგანიზაციებთან პირდაპირი კონტაქტი არ აქვს და არავითარი ლობირება არ ხდება), მთავარი პარამეტრებით, როგორებიცაა: კანონის უზენაესობა, სასამართლოს, პრესის დამოუკიდებლობა, ბიზნესის თავისუფლება, ბიუჯეტის ღიაობა და ა.შ., საქართველო უსწრებს ევროკავშირის აიზე მეტ და ნატოს თხუთმეტ ქვეყანაზე მეტს. გასაკვირია, მაგრამ ამის მიუხედავად, მათ საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მისცეს, რომელიც ევროკავშირის მრავალ ქვეყანას ბევრი პარამეტრით დღესაც სჯობს!

— როგორც ჩანს, არც გვიპირებენ ევროკავშირში მიღებას?
— დიხ, აშკარაა, რომ ჩვენ მიღებას არ აპირებენ, რაც ევროპარლამენტს და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას სამარცხვინო ლაქად დარჩება. ჩვენ 1999 წლიდან ევროპის საბჭოს წევრები ვართ. მათ მიერ მიღებული რეზოლუციაც სამარცხვინოა. 30 წელზე მეტია, ევროპის წამყვანი პოლიტიკოები, პუბლიცისტები პირდაპირ წერენ: არ შეიძლება დიდხანს იარსებოს სტრუქტურამ — ევროკავშირმა, სადაც ადამიანები ლაპარაკობენ ერთს, ფიქრობენ სხვას და სულ სხვას აკეთებენ. ორმაგი სტანდარტები, როგორც პრაქტიკა, ისე დამკვიდრდა — ყველაფერი გასდის მას, ვინც ლობისტებზე,



ებული! ეს ხალხი, როცა ციხის კედლები გამოქვეყნდა, ჩუმად იყვნენ და ახლა ისევე აბობოქრდნენ — თურმე საქართველოს რუსეთიდან გამოგზავნილი ოლიგარქი დაეპატრონა!!! ძალიან კარგად მახსოვს, 2012 წელს, როცა მაკკეილი ჩამოვიდა, არჩევნებამდე ორი-სამი თვით ადრე, მათ ერთობლივი კონფერენცია გამართეს, სადაც სააკაშვილმა თქვა: აი, პუტინმა გამოგზავნა ივანიშვილი. როგორი უსინდისო უნდა იყოს ამის მთქმელი ადამიანი. სააკაშვილს საერთოდ არ აქვს სინდისი, ისევე, როგორც დალტონიკს ფერების შეგრძობა. ივანიშვილმა „ნაცმობრობის“ მმართველობის დროს რეფორმებისთვის ქვეყანას მილიარდები დაახარჯა. რეფორმების უზრუნველყოფა პირველი ორი წელი სწორედ ივანიშვილის პირადი ფულთი მოხდა — ჯარის, საბაჟოს, პოლიციის რეფორმა და ა.შ. ახლა გაიძახიან: ივანიშვილი რუსული ფულით ჩამოვიდაო. მაშინ მაკკეინმა, რომელიც სენატში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ, თქვა: ამერიკელებმა ივანიშვილის საქმიანობა, მისი ფულის წყაროები ყოველმხრივ შევისწავლეთ და არავითარი რუსული ფული, რუსული ხელი მის უკან არ არსებობსო. სააკაშვილი თავჩაღუნული იდგა და უსმინდა. სააკაშვილიც სწორედ მაშინ გადადგა თანამდებობიდან. სენატორები და ელჩი ნორლანდი არჩევნების მეორე დღეს, 2 ოქტომბერს მასთან მივიდნენ და უთხრეს: თუ გაგრძელებდა მსგავსი ძალადობა, რაც დამით ხაშურში მოხდა და ა.შ., იძულებული გავხდებით განვაკცხადოთ, რომ საქართვე-

ლოში ძალაუფლების უზურპაცია მოხდა და შენს ხელისუფლებასთან იმ რეჟიმში გადავალთ, რა რეჟიმშიც ლუკაშენკოსთან ვიმყოფებითო. სააკაშვილი გადადგა. ახლა კი აქ ჩამოდიან ჩემი ნაცნობი ყოფილი ელჩები თუ დიპლომატები და წყენით გვეუბნებიან: ორი პიჯაკის გამო პრეზიდენტი როგორ დაიჭირეთო. ვეკითხები: რატომ უწოდებთ ამას პიჯაკების საქმეს, როცა 9 მილიონ ლარზე ლაპარაკი-მეთქი?! უი, არ ვიცოდითო, — მძასუხობენ. ნუთუ რთულია შესაბამი-

სი დოკუმენტაციის ინგლისურად თარგმნა და საელჩოსთვის რეალური ინფორმაციის მიწოდება?! სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა. შედეგად რა მივიღეთ? საქართველოს ისტორიაში უდიდეს ქველმოქმედს, უფრო დიდს, ვიდრე სარაჯიშვილები, ხომლტარები, შუბალაშვილები ერთად აღებულნი იყვნენ, ოლიგარქად აცხადებენ. მეტი უტიფრობა რაღა გინდათ: ტელევიზიებით გამოდიან მილიონერი კობა ნაყოფია, მამუკა ხაზარაძე და სხვანი და ამ უდიდეს ქველმოქმედ კაცს ლანძღავენ, მოღალატეს უწოდებენ და რას აღარ აბრალებენ! ვერც ხვდებიან, ამ საქციელით ისე ასაბუთებენ, რომ ივანიშვილი არავითარი ოლიგარქი არ არის, ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება სრულად დაცულია და მათ ქონებას არაფერი ემუქრება. რომელიმე ხმა ამოიღო მაშინ, როცა ყოველ დამე ერთსა და იმავე ნოტარიუსთან მიჰყავდათ ადამიანები და ქონების დათმობაზე ხელს აწერებოდნენ?! აი, მაშინ იყო რეჟიმი და თუ მაგრები არიან, ამაზე ილაპარაკონ. ის რომ დღეს, პირველ რიგში, სასამართლო დამოუკიდებელია, ეს ივანიშვილის დამსახურებაა. საქართველოს მოსახლეობას არ აქვს იმის ძალა, რომ თავისი არჩეული მთავრობა გააკონტროლოს. ივანიშვილის ფაქტორი რომ არა, ხელი-სუფლებას უკვე ნაცები იქნებოდნენ დაპატრონებულნი. სააკაშვილი და მისი დიქტატურა შემთხვევითი კი არ იყო, არამედ სრულიად ორგანული მოვლენა გახლდათ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ლიერა. სახელმწიფოს ერთობის ძირითადი გარანტი ინსტიტუტებია და არა ერთი ადამიანი, თუნდაც პრეზიდენტი. როგორ მოხდა, რომ ტრამპს უზენაესი სასამართლოს, თავად მისმა დანიშნულმა არცერთმა მოსამართლემ მხარი არ დაუჭირა? რვიდან ტრამპის მომხრე ექვსი მოსამართლე იყო. როცა მან იჩივლა: არჩევნები გამიყალბესო, მხარი არცერთმა არ დაუჭირა. მეტიც, ტრამპს მხარი რესპუბლიკელმა გუბერნატორებმაც კი არ დაუჭირეს. ამერიკული პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იქ პარტიული მკაცრი დისციპლინა არ არის — მოგწონს თუ არა კანონპროექტი, მხარი უნდა დაუჭირო. მაგალითად, რესპუბლიკელების წარდგენილ კანონს ხმას აძლევს 30 დემოკრატიც. დემოკრატიების მიერ ინიცირებულ კანონს ხმას აძლევს 22 რესპუბლიკელი. ეს მოდალატობად არ ითვლება. მაგრამ ევროპაში, მით უმეტეს, საქართველოში რომელი ნაციონალი გაბედავს, „ქართული ოცნების“ შემოთავაზებულ კანონს მხარი დაუჭიროს?! საქმე ისაა, რომ ამერიკაში პარტიები კონკურენტები არიან, აქ კი — მტრები. რეიგანი თავის მეშუარეობაში წერდა: პრეზიდენტი რომ გავხდები, დემოკრატიების ლიდერი სენატში სისხლს მიშრობდა, მაკრიტიკებდა. სადამოს სახლში ვახშამზე დაეპატიჟე. მშენიერი სადამო გაუატარეთ, დაემეგობრდით კიდევ. მეორე დღით ტელევიზორი ჩავრთე და რას ვხე-



დავ? — ისევ მიწასთან გამასწორა. დაეურყევ და ვუთხარი: არ გრცხვენია, გუშინ რა კარგი დრო გაუატარეთ და დღეს როგორ მოიქცე-მეთქი. მან მიპასუხა: მე შენ სამუშაო საათებში გაკრიტიკებ, ხოლო შენთან სადამოს არასამუშაო დროს ვიყავიო. ასე რომ, იქ პირადული არაფერია, ჩვენთან პარტიები, მნიშვნელობა არ აქვს, სამუშაო საათები იქნება თუ არა-სამუშაო, ერთმანეთს სადმე მართო რომ შეხვდნენ, ალბათ, ყველს გამოჭრიან.

— ბატონო სოსო, ბოლოს გვითხარით, რა დაემართა ოპოზიციას?
— ჩემი პროგნოზით, 80%-ით ვვარაუდობ, რომ ოპოზიცია საერთოდ დაიშლება, ვერ შერიგდებიან. აქ, სამწუხაროდ, პოლიტიკური კულტურა არ არის. არც სუფთა პოლიტიკა. ამიტომ უფრო დიდი შანსია, რომ ეს პროცესი „ნაციონალური მოძრაობისთვის“

ში პრემიერად აზერბაიჯანელი, სომეხი ან რუსი რომ აირჩიონ?! ან თუნდაც სომეხთში, აზერბაიჯანში ან რუსეთში სხვა ეროვნების წარმომადგენელი რომ აირჩიონ. დასავლეთში სხვა პოლიტიკური კულტურაა. მთავარი უბედურება ის არის, რომ ჩვენ განათლებული თაობა აღარ გვყავს. ეს მივიღეთ იმის შედეგად, რომ ეკრძო უნივერსიტეტებს უცოდინარი სტუდენტის გარიცხვა არ შეუძლიათ, რადგან იგი ფულს იხდის — თუ გარიცხვას და სუბიექტი აღარ გეყოლება, ხელფასს ვეღარ დარიგებ. ეს მეორე პოლიტიკურ ვრცელდება. შედეგად, პოლიტიკაში აბსოლუტურად გაუნათლებელი ხალხი მოდის. არადა, სინამდვილეში, პოლიტიკა მცენიერებაა. ასეთ სამწუხარო რეალობაში გვიწევს ცხოვრება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რას ნიშნავს ირანის ბირთვული გარბილება?

ვაშინგტონმა არ დაიჯერა, რომ თეირანმა ბირთვული იარაღის შემუშავებაზე საბოლოოდ თქვა უარი. ირანის ხელისუფლების მუქარასთან ერთად, ისრაელთან ერთად რეგიონში ამერიკის კიდევ ორ მოკავშირეს გაგანადგურებო, არავის აწყობდა ახალი ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფოს არსებობა და ქვეყანა კვლავ ტოტალურ ბლოკადაში აღმოჩნდა.

არც ისლამური რესპუბლიკის მთავრობა იჯდა უქმად. ირანმა საკუთარი ეკონომიკური მოდელი შექმნა, სანქციებმა ქვეყანა აიძულა, მოეძებნა განვითარების არატრადიციული გზები

წინააღმდეგობის ეკონომიკა

ირანის წინააღმდეგ ბოლო 40 წლის განმავლობაში განხორციელებული სანქციები ტალღისმავარი იყო. ზოგ პერიოდში ძლიერდებოდა და მუდმივად ცდილობდა, ეკონომიკური კონიუნქტურა



თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

პირველ რიგში, მოხდა ნედლეულის სექტორის დივერსიფიკაცია. ენერგომატარებლების ექსპორტზე დამოკიდებულება ნავთობქიმიური მრეწველობის რამდენჯერმე გადაშენების ხარჯზე შემცირდა. პოლიეთილენმა, პლასტმასამ, მეთანოლმა, პროპანამ და ნავთობქიმიის სხვა პროდუქტებმა, 2015 წლის დასაწყისისთვის ირანული მრეწველობის 45 პროცენტი შეადგინა. მის წილზე მთელი ირანული სამრეწველო ექსპორტის 36 პროცენტი მოდიოდა.

ირანმა აკრძალვების გვერდის ავლით უცხოელ პარტნიორებთან არაოფიციალური ეკონომიკური კავშირების გაბმა შეძლო. ჩინეთმა, ინდოეთმა, რუსეთმა, თურქეთმა და სამხრეთ კორეამ საგარეო ვაჭრობაში აშშ და ევროკავშირი ჩაანაცვლეს. თურქეთმა შეძლო ნაწილობრივ ჩაენაცვლებინა ევროპული ქიმიური პროდუქტების, სინთეტიკური ბოჭკოების, ტექსტილის ნაწარმი, დაზგები და მანქანები. ჩინეთი ირანული ენერჯორესურსების ძირითადი იმპორტიორი და ქვეყანაში კომპიუტერების, სმარტფონებისა და ჩიპების შემტანი გახდა.

ირანის ხელისუფლება იძულებული გახდა, სხვადასხვა ზრუკებსა და დათმობებზე წასულიყო: პარტნიორებისთვის ფულის გადახდას ნაციონალური ვალუტით, ოქროთი და სასაქონლო ბარტერით ახორციელებდა.

შექმნა ყალბი კომპანიები, რომლებიც ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს დიდი ფასდაკლებით ყიდდნენ, როგორც ომანურ, მაღალიზიურ, ვენესუელურ ან ერაყულ პროდუქტს, აყალბებდნენ ვაჭრობის შესახებ პატენტებსა და ნებართვებს.

ჩრდილოვანმა იმპორტმა ქვეყანას შესაძლებლობა მისცა, ნაწილობრივ აღედგინა სამშენებლო მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ავტომანქანების წარმოება.

ტექნოლოგიურმა სანქციებმა და რესპუბლიკაში ბევრი სერვისის დაბლოკვამ გამოათავისუფლა ნიშა ნაციონალური მწარმოებლებისთვის.

სანქსიების მსოფლიო ისტორია

ბიტკოინი, ნავთობი და ატომური ბომბი. რატომ არ შეაჩერა ირანმა ატომური პროგრამა?

სუფლება ვერ ახერხებს. ირანის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა 1979 წლიდან მოყოლებული, მოქალაქეების შემოსავლების დაბალი დონეა.

ანალოგიური პრობლემები იყო წინა ხელისუფლების დროსაც, განსაკუთრებით სოფლებში, მაგრამ ახლა, შეზღუდული ექსპორტის პირობებში, მოქალაქეების დაბალი შემოსავლის გამო დაბალია შიდა მოთხოვნა, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტემპებზეც აისახება. ერთადერთი გამოსავალი სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის საჭიროებების მხარდაჭერის პროგრამებია. ამგვარად ახორციელებს ხელისუფლება წყლის, ბენზინისა



და ბოსტნეულის შესაძენ ხარჯების სუფსიდირებას.

კიდევ ერთი მწვავე პრობლემა: სანქციების გამო ირანში მნიშვნელოვანი წამლების ნაკლებობაა. ყველაზე მეტად ამის გამო ზარალდებიან ის ირანელები, რომლებსაც იშვიათი დაავადებები აქვთ და სპეციალიზებული მკურნალობა სჭირდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკამ ჰუმანიტარულ იმპორტზე გამონაკლისი დაუშვა და ირანში სამედიცინო პრეპარატების შეტანის ნება დართო, დასავლეთის კომპანიები უარს ამბობენ იქ ჰუმანიტარული ტვირთების შეტანაზეც კი.

საქმე ის გახლავთ, რომ უცხოურ კომპანიებს ეშინიათ, მეორადი სანქციებისა და სასამართლო გარჩევების ქვეშ არ მოხვდნენ. ტრამპის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური ომის შედეგად ამერიკული ფარმაცევტული პროდუქციის ექსპორტი 26-დან 8 მლნ დოლარამდე დაეცა. შემცირდა ევროპული წამლების შეტანაც.

ამის გამო ირანელი იმპორტიორები იძულებული გახდნენ, სხვა ქვეყნებში შეეძინათ იაფი ანალოგები. მოგვიანებით, ირანმა შეძლო საკუთარი წამლებით უზრუნველყო საკუთარი თავი და არაპატენტირებული მედიკამენტების წარმოების მიხედვით მსოფლიო ლიდერი გახდა, რამაც საშუალება მისცა, აღმოეფხვრა დეფიციტი და მნიშვნელოვნად შემცირებინა სამედიცინო მომსახურების ღირებულება.

ირანის სინამდვილეში სოციალური ნივთები და სუბსიდები — ეს ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას იძლევა, ნაწილობრივ მაინც მოიხსნას შიდა დაძაბულობა. მაგრამ ლაპარაკი სოციალურად ორიენტირებულ სახელმწიფოზე, სადაც მოსახლეობას ყველაფერი აქვს, რაც სჭირდება, ნადრევია.

მნიშვნელოვანი სოციალური ზარალები ამცირებენ ეკონომიკურ ზრდას და ხელისუფლება იძულებულია, დროდადრო ბეჭდოს ბანკოტები, რათა თავიდან აიცილოს საპროტესტო განწყობები.

დასავლეთის ქვეყნები შესანიშნავად აცნობიერებენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. გეოპოლიტიკური კონკურენტის შიდა არასტაბილურობით შეკავება ხომ დასავლეთში ყოველთვის ეფექტიან მეთოდად მიიჩნეოდა. მიუხედავად ამისა, საგარეო პოლიტიკური კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებების მიღწევაში ირანს ეს ვერ დაეხმარა.

ბირთვული შეთანხმებიდან ამერიკის გასვლის შემდეგ ირანს არ შეუწყვეტია ბირთვული იარაღის წარმოება. ხმამაღლაც კი განაცხადა, რომ გამოიყენებს კიდევ თუ რაიმე დაემუქრება ისლამური რესპუბლიკის სუვერენიტეტს. ეს განცხადებები ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის.

კომპრომისის ძიებაში

მიუხედავად საომარი რიტორიკისა, ირანი დაინტერესებულია, რომ კომპრომისი იპოვოს. ირანის ხელისუფლება არ აღიარებს, მაგრამ დანამდვილებით იცის, რომ ტოტალური შეძლეულების პირობებში ყველა ეკონომიკური პრობლემა გადაჭრას ვერ შეძლებენ. ბირთვული გარიგება ამის კარგი მაგალითი იყო და ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თეირანში თავშეკავებულად აფიქსირებენ მოლაპარაკებებისთვის მზაობას.

ექსპერტების თქმით, დღეს ირანის ხელისუფლება მზად არის, იმსჯელოს დასავლეთთან კომპრომისული გადაწყვეტილების მისაღწევად.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ თეირანში ნებისმიერ პირობებს დათანხმდებიან. ირანს ახლა კარგი პოზიციები აქვს, რადგან სანქციების შემუშავებისას ამერიკის მთავრობამ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. ამერიკაში ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ ირანის რეჟიმის მთავარი მიზანი რეგიონში გავლენის გაძლიერებაა, მაგრამ მისი მიზანი ყოველთვის იყო გადარჩენა და პოზიციების შენარჩუნება. უკანასკნელი 40 წელი იმის დასტურია, რომ სანქციების მიუხედავად, ირანი ამას მაინც ახერხებს.

ამასთან, ვიდრე მოსახლეობა საარსებო პრობლემების გადაწყვეტით არის დაკავებული, მას პოლიტიკისთვის არ სცალია. ამ მხრივ მთავრობას ბლოკადა აწყობს კიდევ.

„ეკონომიკური წინააღმდეგობის“ გარდა, სანქციების წყალობით, ირანის ხელისუფლებას შესაძლებლობა მიეცა შეექმნა, საგარეო მტრის სახე და მასზე გააერთანა ყოველგვარი პასუხისმგებლობა, მათ შორის, საკუთარი შეცდომებზეც კი.

ირანის ამჟამინდელი პრეზიდენტი იბრაჰიმ რაისი კონსერვატიული და რადიკალური შეხედულებების ადამიანია. უმაღლეს წრეებში ლიბერალური და მემარცხენე მოძრაობა პრაქტიკულად არ არსებობს. მეჯლისი, სასამართლო ხელისუფლება, მინისტრთა კაბინეტი და უმაღლესი ლიდერი — ეს კონსერვატიული ელიტაა. ამ პირობებში ლიბერალიზმისა და დასავლეთის მიმართ რევერანსებზე საუბარი ზედმეტია.

მიუხედავად იმისა, რომ სანქციების გამო, პირველ რიგში, მოსახლეობა ზარალდება, 40 წლის განმავლობაში ამერიკამ ვერ შეძლო, ხალხი ხელისუფლების შეცვლაზე დაეფოლიებინა. მეორე მხრივ კი, სანქციებმა ირანის ხელისუფლება დააფიქრა იმაზე, რომ საჭიროა დალოგზე წასვლა. პირველი ბირთვული გარიგება ჩაიშალა, მაგრამ თუ ირანის ისლამური რესპუბლიკის პოზიცია საგარეო პოლიტიკაში ნაკლებად რადიკალური იქნება, შესაძლოა, მეორე გარიგება უფრო წარმატებული გამოდგეს...

* * *

ამ რამდენიმე დღის წინათ ევროკავშირმა სანქციები შემოიღო ირანის მიმართ თითქოსდა რუსეთისთვის უბილოტო საფრენი აპარატების მიწოდების გამო. სანქციების შემოღებაზე მზადყოფნა გამოთქვა აშშ-მაც, მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკოსების სიტყვებით, სანქციებს იურიდიული საფუძველი არ გააჩნია...

გელა გველესიანი
568 90 81 22

ამერიკაში აღრამ გარდასვლილები ირჩევენ სელისუფალი, ახლა კი სოსხლაბა ირჩიის მკვლარი კანონმდებლები

მთავარი პოლიტიკური მოვლენა მსოფლიოში გასულ კვირას ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული შუალედური არჩევნები გახლდათ. ყველა ქვეყნის პოლიტიკოსები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მიმდინარე მოვლენებს. არჩევნებს მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არამარტო პარტიების, არამედ თავად პრეზიდენტ ჯო ბაიდენის პოლიტიკური კარიერისთვის. მსგავსი ბინძური წინასაარჩევნო კამპანია აშშ-ის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, — აცხადებენ ამერიკელი პოლიტოლოგები. ოპონენტები ერთმანეთის მიმართ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებსაც არ ერიდებოდნენ.

საიდუმლო არ არის, რომ აშშ-ში დღეს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაა. მზარდი ფასები, ინფლაცია მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. ყველაფერთან ერთად, ქვეყანაში უსამართლობის განცდამ დაისადგურა, განსაკუთრებით 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელსაც აშშ-ის მოსახლე-

„შეჩრდი“, „ნუ მიღიხარ რუსეთთან კონფრონტაციაზე!“ ბაიდენი უხერხულად ხითხითებდა, მრავალი კითხვა უპასუხოდ დატოვა. თუმცა განაცხადა, რომ ეკონომიკაში ფუნდამენტური ცვლილებები მოახდინებს.

სოციალური გამოკითხვების მიხედვით, წინასაარჩევნო დემოკრატებმა ბევრი მხარდამჭერი, ამომრჩეველი დაკარგა. გავრცელებული ინფორმაციით, ზოგიერთმა პარტიასთან ერთად თანამდებობაც დატოვა. მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანი ილონ მასკი მოსახლეობას დიად მოუწოდებდა, რესპუბლიკელებისთვის დაეჭირათ მხარი. მისი თქმით: „აქამდე ხმას დემოკრატიულ პარტიას ვაძლევდი, ვაფინანსებდი. ახლა რესპუბლიკელებს დაუჭერ მხარს და თქვენც ამისკენ მოგიწოდებთ“. აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მომხრეებს მოუწოდებდა: „დავიბრუნოთ სენატი და კონგრესი!“ მომავალი არჩევნების ობიექტურად ჩატარების შესახებ განაცხადა: „შეიძლება ჩვენ საუკეთესო

და გასაცარი ფაქტები — თუ ამომრჩეველი ხმას დემოკრატებს აძლევდა, პრობლემა არ ექმნებოდა. რესპუბლიკელების მხარდამჭერებს ბლოკავდნენ. ამიტომაც დამკვირვებლებმა აშშ-ის არჩევნები „ბანანის ქვეყნებში“ ჩატარებულ არჩევნებთან გააიგივეს.

არ გამართლდა პოლიტოლოგების ვარაუდი — რესპუბლიკელებმა ვერ შეძლეს გამანადგურებელი შედეგით გამარჯვება. მართალია, კონგრესში უძრავლესობა მოიპოვეს, მაგრამ სენატში ჯერ კიდევ გაურკვეველ ვითარებაა. თუმცა, წინასწარი მონაცემებით, დემოკრატები ერთი-ორი ხმით გაუსწრებდნენ. არჩევნების შედეგებით გაოცებული არიან როგორც პოლიტიკოსები, ასევე ექსპერტ-პოლიტოლოგებიც. მათთვის გაუგებარია, როგორ შეძლეს დემოკრატებმა, რომლებსაც დაბალი რეიტინგი აქვთ მოსახლეობაში, დიდი რაოდენობით ხმების აღება. არჩევნების შედეგების წინასწარი გამოცხადების შემდეგ ჯო ბაიდენმა შვებით ამოისუნთქა და განაცხადა: „დემოკრატებისთვის კარგი დღეა!“ იგი შედეგებით კმაყოფილია.

კონგრესში გამარჯვების მიუხედავად, რესპუბლიკელები არჩევნების შედეგებს წარუმატებლად მიიჩნევენ. ანალიტიკოსების განცხადებით, არჩევნებში დონალდ ტრამპის ჩარევამ რესპუბლიკელებს დათვური სამსახური გაუწია. თუმცა ტრამპი არ დაეთანხმა მათ და განაცხადა, რომ რესპუბლიკელების გამარჯვება მისი დამსახურებაა. განვლილი შუალედური არჩევნები უნიკალური აღმოჩნდა — ყველა გამარჯვებულია. ამ არჩევნების კიდევ ერთი განსაკუთრებულობა ის გახლავთ, რომ, თუ ადრე გარდაცვლილები ირჩევდნენ, ახლა ცოცხლებმა სხვადასხვა შტატში ორი გარდაცვლილი აირჩიეს კონგრესში. მოკლე, კონგრესში „სპილო“ — (რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო) შევიდა, სენატში — „ვირი“ (დემოკრატების სიმბოლო). როგორ წარმართება აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მომავალში გამოჩნდება.

ვითარება უკრაინაში კვლავ დაძაბულია. მართალია, რუსეთის ჯარი ქალაქ ხერსონიდან გავიდა, მაგრამ აშშ-ის სამხედრო-საჯარისო გაერთიანების ანალიტიკურ ცენტრში გარემოებას ხიფათის შემცველად მიიჩნევენ. ექსპერტების შეფასებით, რუსეთმა ჯარები გადააჯგუფა და,



სავარაუდოდ, ახალი სამხედრო ოპერაციებისთვის ემზადება. გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის ხელისუფლება კიევიდან მოსახლეობის სრულ ევაკუაციას აპირებს. პოლიტოლოგებისთვის გაუგებარია, სად განათავსებენ 3 მილიონზე მეტ ადამიანს. აშშ-ის ხელისუფლება იარაღის მიწოდებას განაგრძობს. თუმცა სამხედრო საწყობების ინსპექტირებას განაახლებს, რათა გაარკვიოს, სად მიდის მათ მიერ მიწოდებული შეიარაღება. ფინეთში დაკავებულ დამნაშავეებს სწორედ ის იარაღი აღმოაჩნდათ, რომელიც მათ უკრაინას მიაწოდეს.

მოკავშირე ქვეყნები ბოლო დროს უკრაინის ხელისუფლებას რუსეთთან დიალოგისკენ სულ უფრო ხშირად მოუწოდებენ. პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ერთი შეხედვით ამას დათანხმდა, მაგრამ ისეთი პირობები წაუყენა რუსეთს მოლაპარაკებების დასაწყებად, ფაქტობრივად, უარის თქმას ნიშნავს. აშშ-ის გაერთიანებული შტატების უფროსმა, გენერალმა მარკ მილიმ განაცხადა: „თუ შესაძლებელია, რომ სამხედრო კონფლიქტი დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით გადაიჭრას, ყველანაირი შანსი უნდა გამოიყენოთ!“ მარკ მილი გამოცდილი გენერალია, რომელიც თანამდებობას ჯერ კიდევ ბარაკ ობამას პრეზიდენტობიდან იკავებს. არიან დიალოგის მოწინააღმდეგეებიც. ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადებით: „უკრაინა არ უნდა დათანხმდეს მოლაპარაკებას რუსეთის პირობებით. თუ ასე მოხდა, კატასტროფა მოხდება“. აშშ-ის პრესის მიხედვით, ვაშინგტონმა სიტყვიერად კი მოუწოდა უკრაინას, დათანხმდეს მოლაპარაკებების დაწყებას, მაგრამ ამისთვის არაფერი გააკეთონ, ანუ ჩაშალონ.

აღმოსავლეთ აზია მსოფლიო პოლიტიკური შეკრებების ცენტ-

რი გახდა. გასულ კვირას კამბოჯა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამიტს მასპინძლობდა. შეხვედრაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი აღინიშნა. კამბოჯაში ჩასულ ჯო ბაიდენის თვითმფრინავს ჩვეულებრივი ტრაპი მიადგეს, მაშინ, როდესაც, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს წითელი ხალიჩით დახვდნენ. მასპინძლებმა თავი იმართლეს: შეგვეშინდა, ბაიდენი ხალიჩაზე არ წაბორძიკებულიყო. აშშ-ის დელეგაცია ყველანაირად ცდილობდა, რუსებს არსად შეხვედროდნენ. როგორც ამბობენ, სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ ბაიდენმა სამიტის გახსნაზე 35 წუთზე მეტი ხნით დააგვიანა და დარბაზში არა ცენტრალური, არამედ სათადარიგო შესასვლელიდან შევიდა. სამიტი მის გარეშე გახსნეს. ამის გარდა, იძულებული იყო, სერგეი ლავროვის გამოსვლისთვის მოესმინა. სამიტზე ერთობლივი დეკლარაცია არ მიუღიათ, რაც იმის ნიშანია, რომ შეკრება უშედეგოდ დასრულდა. სამაგიეროდ, ბაიდენმა კვლავ „გამოიჩინა“ თავი — კამბოჯა კოლუმბიად მოიხსენია ჯერ გამგზავრებამდე, შემდეგ კი სამიტზე, როდესაც კოლუმბიის პრემიერ-მინისტრს გადაუხადა მაღლონ სამიტის კარგი ორგანიზებისთვის. შეცდომა თავადვე გამოასწორა, მაგრამ... ქვეყნები მისი ჯანმრთელობის შესახებ უფრო გაღრმავდა.

კამბოჯიდან დელეგაციები ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე „დიდი ოცეულის“ ქვეყნების შეხვედრაზე გაემგზავრნენ. ბაიდენი G-20-ის ფარგლებში ჩინეთის მეთაურთან, სი ძინპინთან პირისპირ შეხვედრას გეგმავს. შედეგადაც თუ არა დიალოგი, ან რა შედეგით დასრულდება, მართლაც საინტერესოა, რადგან ჩინეთისა და აშშ-ის, კერძოდ, სი ძინპინისა და ჯო ბაიდენის ურთიერთობა ტაივანთან დაკავშირებით უკიდურესად დაძაბულია. განსაკუთრებით ნენსი პელოსისა და სხვა კონგრესმენ-სენატორების ვიზიტების შემდეგ.

რამდენიმე დღეში ყატარში პლანეტის ერთ-ერთი მთავარი სპორტული ღონისძიება — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება, რაც, სავარაუდოდ, ყველანაირ პოლიტიკურ მოვლენას მეორე პლანზე გადაიტანს.



ობის უმრავლესობა დღემდე გაყალბებულად მიიჩნევენ. მოკლედ რომ ვთქვათ, აშშ-ში არანახულად ბევრი პრობლემა დაგროვდა. არჩევნების დაწყებამდე ექსპერტ-პოლიტოლოგები ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ სენატსა და კონგრესში რესპუბლიკელები აბსოლუტური უმრავლესობით იქნებოდნენ წარმოდგენილები.

მოსალოდნელი კატასტროფული შედეგი ამინებდა ჯო ბაიდენს და, საერთოდ, დემოკრატიულ პარტიას. ამერიკული პრესის ინფორმაციით, ბაიდენი კერძო საუბრებში ამბობდა, რომ რესპუბლიკელების გამარჯვების შემთხვევაში წინ საშინელი ორი წელი ელოდა. საჯაროდ იხტიბარს არ იტეხდა — „დემოკრატების დამარცხების შემთხვევაში მრჩება კალამი“, ანუ, რესპუბლიკელების მიერ მიღებულ არასასურველ კანონების წინააღმდეგ ვეტოს გამოვიყენებო. ბაიდენის დაბალ რეიტინგზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ ნიუ-იორკში წინასაარჩევნო სააგიტაციო მიტინგზე დემოკრატების მომხრეები შეძახილებით შეხვდნენ:

კანდიდატი გვეყავდეს, მაგრამ ხმები ვიდაც თაღლითმა დემოკრატმა დაითვალოს და ასე დაგვამარცხონ. ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ“. კონგრესის სპიკერი ნენსი პელოსს ტრამპმა ცხოველი უწოდა. გამოცემა „ვამინტონ პოსტმა“ პრეზიდენტი ბაიდენი ბევრი ტყუილის თქმის გამო პინოქიოდ მოიხსენია. ტელეკომპანია „ფოქს ნიუსმა“ ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი ამხილა იმაში, რომ ის ინტერნეტში აზარტული თამაშებით ყოფილა დაკავებული. რესპუბლიკელებს დემოკრატების დასამარცხებლად ბევრი კომპრომატი და მიზეზი ჰქონდათ.

არჩევნები ერთი შეხედვით მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ გაირკვა, რომ პროცედურული დარღვევები მრავლად იყო. მთელ რიგ შტატებში ხმის დამთვლელი აპარატები არ მუშაობდა. მიზეზზე ჯერ არ საუბრობენ. საარჩევნო უბნებზე არ ჰყოფნიდათ ბიულეტენები... არიზონის შტატში ხმის დამთვლელი აპარატების მასობრივად გამორთვამ ამომრჩეველების პროტესტი გამოიწვია. დონალდ ტრამპმა მათ მოუწოდა, ხმები დაეცვათ და არ დაშლილიყვნენ. დაფიქსირ-



გია ბურდული
551 71 27 07

„ნაციონალიზმი“ დასაბამი – სახელად „ნაციონალიზმი“



ორად გაყოფილი „ნაციონალიზმი“, ერთი უკრაინაში გადაპორტირებული, მეორე აქაური, ორი ფრონტიდან უტყვევს საქართველოს, ანუ საკუთარ სამშობლოს.

თუმცა, როგორც ჩანს, საქართველო არ არის „ნაციონალიზმის“ სამშობლო.

„ნაციონალიზმი“ საერთოდ არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია.

„ნაციონალიზმი“ „ნაციონალიზმის“ დესანტია, რომელსაც, სიტუაციის მიხედვით, ხან იქით გადაისვრიან მისი დამქირავებლები, ხან აქეთ გადმოისვრიან.

ეს რომ ასეა, თუნდაც მთავარი ნაციონალის, სააკაშვილის ტრაგიკომიკური თავგადასავლებიდანაც ჩანს, რომელიც არაფრებთან ერთად გამოგვიგზავნებს ამ რამდენიმე თვის უკან მისმა პატრონებმა, რომელიც, როგორც გარემოება მოითხოვს, იმის მიხედვით ხან ქართველია, ხან — უკრაინელი, ხვალ-ხვდ შეიძლება ამერიკელი გახდეს, ან სირიელი, ან კიდევ ვინმე. გააჩნია „მივლინების“ ადგილს.

რადაც ძალიან დასაბამი და გაიხრწნა XXI საუკუნის მსოფლიოში.

უჩინარი და უსახელო, მაგრამ, იმავე დროს რეალურად არსებული, დიდი ფინანსებით, დიდი გავლენებით და დიდი ძალაუფლებით აღჭურვილი ძალები თითქოს მიზანმიმართულად ცდილობენ ადამიანში იმ ფასეულობებისა და ღირებულებების ამომიკვას, რომლებსაც ფასეულობა თავისი არსებობის მანძილზე ქმნიდა, ხვეწდა, სრულყოფდა, რომ უფრო მიახლოებულია იმას, ვინც შექმნა ის და ვინც შექმნა სამყარო.

დღეს თითქოს ამ ფასეულებებისა და ღირებულებებისგან ადამიანის გამოშვების ფაზა დადგა, რასაც წარმატებით ახორციელებენ ახალი დროის ფასეულები, ხოლო ამ „ქირურგიული მანიპულაციების“ შემდეგ რაც ადამიანისგან რჩება, ის უკვე ადამიანი კი არა, ადამიანისმავალი არსებაა.

„ნაციონალიზმი“ ხშირად ამბობენ, სექტააო. სწორია ეს შეფასება, თუმცა „ნაციონალიზმი“ ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული სექტა კი არ არის, არამედ დიდი საერთაშორისო მასშტაბების სექტის ნაწილია, მისი ფილიალია, მისი დესანტია.

ამ სექტას არ ჰყავს ღმერთი, ამ სექტას არ აქვს რელიგია, ამ სექტას არ აქვს სამშობლო და სწორედ ეს არის ის ახალი „მოდერნიზმი“, რაც აერთიანებს და ერთ მტკიცე ორგანიზაციად კრავს ადამიანთა მრავალრიცხოვან მასებს.

ამ სექტის ნაწილია „ნაციონალიზმი“, რომელსაც მეტსახეულად პოლიტიკური ორგანიზაცია ჰქვია და ამ იარაღის ამოყვარებული ოცი წელია, ანგრევს საქართველოს — ანგრევს მატერიალურად, ანგრევს სულიერად და, როგორც თავის დროზე ამ სექტის თავკაცმა განაცხადა, თავგამოდებული ცდილობს, თავის სატანურ ლაბორატორიაში გამოიყვანოს ადამიანის ახალი ჯიშის — ახალი ქართველი.

სამწუხაროდ, მან ნაწილობრივ შეძლო ამ ამოცანის შესრულება.

ჩვენ ყოველდღე ვხედავთ ამ „ახალ ქართველებს“ — ვხედავთ ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ვხედავთ მიტინგებზე, აქციებზე, ტელეეკრანებზე, ვხედავთ, შარვალჩახდილები როგორ უშვებენ უკანალს მტერს, ვხედავთ, როგორ უტიფრად, ურცხვად ცრუობენ, ცილს სწამებენ, შეურაცხყოფენ, პროვოკაციებს უწყობენ ადამიანებს.

ვხედავთ ყოველივე ამას და გვიკვირს: რატომ არ ჰგვანან ესენი ქართველებს, რატომ იქცევიან ასე არაქართულად?

პასუხი ამ კითხვაზე, ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც გავცევით ამ მცირე მოცულობის წერილში, თუმცა ეს იმდენად მნიშვნელოვანი და სახელმწიფოებრივი დატვირთვის მატარებელი თემაა, რომ მასზე ხმამაღლა, ყოველდღე უნდა ლაპარაკობდეს ქართველი საზოგადოება.

„ნაციონალიზმის“ მიერ ჩადენილ უამრავ დანაშაულთა შორის ეს ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და სახიფათო დანაშაულია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ დანაშაულის გამო ვერავის ვერ გაასამართლებს, კანონის ვერც ერთ მუხლს ვერ მიუყვებ.

მხოლოდ თავისი ქვეყნის პატრიოტი, განათლებული და სახელმწიფოებრივად მოახროვნე საზოგადოებაა ის ძალა, რომელსაც შეუძლია, წინ აღუდგეს და შეაჩეროს ადამიანთა სულების დამანგრეველი ეს ბოროტება.

პასტანბ ხარჩილასპა „სმ“ N10 2022.



საქართველოს მოქალაქეები არც სულელები არიან და არც ბრიყვები, არც მონობისთვის დაბადებულები, მხოლოდ ზომიერ მეტად მიმდობები არიან და კიდევ, დიდი ნაკლი აქვთ, არხეინები არიან, სანამ ვინმე გვარიანად არ შეაჯანჯღარებს, ძილში გარდამავალ ღრმა თვლემში არიან...

ბოდიში მომითხოვია გამოხატულად სექსისმოყვარე ქალებთან, რადგან მოწოდებით მეძაგებს უნდა შევადარო, იმ ვითომდა პატიოსან და ოჯახის ქალებს, თვალსმოყვარულად რომ მეძაგობენ გარკვეული თანხის საფასურად. ასეთმა „ძალად პატიოსანმა“ ქალებმა იციან სხვა ქალების გაჭორვა — ბოზიაო, საკუთარი მეძაგობის დასამალად ესხმინ თავს. სწორედ ამგვარად დგას საკითხი ე.წ. „რუსეთის აგენტობაზე“ — „რუსეთის კაცები“ სხვებს სდებენ ბრალს რუსეთის აგენტობაში და ჰგონიან, რაც მეტს ვიყვირებ სხვის აგენტობაზე, მეტად დასავლური ორიენტაციის გამოყენდებიო.

ციცხვისა არ იყოს, მე მკითხეთ, როგორი ფსკერი აქვს ქოთანსო — მათ მშობელ ხალხს კვითხთ, როგორი „ფსკერი“ აქვთ ამ ე.წ. „დასავლეთელებს“.

იმის ძიება, ვისი მშობელი რა სახის დაფასებული იყო საბჭოთა კავშირის დროს, ან თვით მას ეკეთა თუ არა პატარა ილიჩის გამოსახულებიანი გულსანევი და შემდეგ ალისფერი ყელსახვევი, შორს წაგვიყვანს. ზოგმა, შეიძლება, ისიც კი წამოაყვანტალოს, ის საბჭოთა კავშირი იყო, ახლა კონკრეტულად რუსეთზეა საუბარიო. ამისთანებს რა გაუძლებს. არადა, სწორედ ისინი ან მათი მშობლები არიან, გასული საუკუნის 90-იანი წლების „ვითომ-ვითომ დისიდენტებად“ რომ წარმოაჩენენ თავს. გაოცდები, ერთ ნაკომკავშირალს ვეღარ ნახავ სადმე და ყველა ნაჯდომია ერთი დღე მაინც საბჭოთა მილიციის საკანში „პოლიტიკურზე“...

საზოგადოებას აინტერესებს, „ხალხის ძალამ ორ პერსონაზე რომ თქვა, ახალ ხელისუფლებას მათზე დადასტურებული მტკიცებულებები ჰქონდა და სისხლის სამართლის საქმეც იყო აღძრული, მაგრამ აშშ-ის ჩარევით სამართლებრივი დევნა შეწყდა, ერთი მათგანი ის პატივცემული „ხალხი“ ხომ არ იყო, იგორ გიორგაძის ნათლულად რომ ვიცნობდით და უკვალოდ გაქრა სა-

ქართველოდანაც და პოლიტიკიდანაცო?

ათა-პაპიდან რა დაიწყებს, საბჭოთა კავშირის შექმნის დღიდან ყველას საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა გვქონდა მის დაქვეყნებამდე, მაგრამ ამავე მოქალაქეებს შორის დიდი სხვაობა იყო. სსრკ ზოგისთვის ჯიქანსავსე დედა იყო, ზოგისთვის — ძუძუვამშრალი, ცალკეულ პირთათვის კი სულაც ბოროტი დედინაცვალი.

„ხალხის“ ცნობილი ამოკვნივსებამ „მე რა ვქნა, მე — ამერიკაში წავიდე, რუსეთში წავიდე...“ — პირდაპირ დადო ხელისგულზე აღიარებითი ჩვენება, რომ ერთნაირი წარმატებით უწოვია საბჭოთა ძუძუც, მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ძუძუც და ამერიკის ძუძუც. ეს კიდევ არაფერი — ვისაც ასე ალაღად შესწიოდა, ხომ ლოგიკურია, რომ ისიც ასეთივე მრავალძუძუნაწოვია, აბა, აღსარების საიდუმლოთი გაენდო? მაგალითად, ბატონი თემურ შაშიაშვილი აცხადებდა, ირაკლი ალასანიძე მთავრობაში შეგზავნილი კაცი იყო, დასავლური წრეების სპეცსამსახურების დაველებებს ასრულებდაო. აბა, ეკითხათ, რუსეთში როგორღა მიდიოდით?

ასე ნაპრეზიდენტალი სააკაშვილის ამბავიც. მარტივია, თუ აშშ არ მისცემდა მყარ გარანტიებს, გადაბარდებოდა რუსეთში — აკი შესთავაზა კიდევ სააკაშვილს პირველხანებშივე რუსეთში (პუტინმა) პოლიტიკური თავშესაფარი...

რა თქმა უნდა, აშშ-მაც ძალიან კარგად იცის ყველა პერსონის „კვ-შნიკური“ ფესვები და რუსეთმაც — ყველას „დასავლურ-ამერიკული ხეინტრიცე-

ბი“, მაგრამ არც ერთს არ ანადგულებს, ჩვეულებრივ გამყიდველებად ჰყავთ აღქმული, ისეთებად, „ოკოლო მოსტა“ რომ დგანან და მაღალ წრეებში გაჩითულ პუტანკებს ჰგვანან, კოლეგა-მეძაგები, ფაქტობრივად, რომ ვერ იტანენ, მაგრამ იმ მაღალ წრეებში მოხვედრისა და, შესაბამისად, მაღალი ანაზღაურების მიღების იმედით, თავს ევლებიან.

დღევანდელ ფურფიორა ე.წ. პოლიტიკოსებს წარმოდგენა არ აქვთ სწორედ იმ წარსულზე, რომელსაც საბჭოთა კავშირი და მისი უშიშროება ერქვა; არც შევარდნაძის შესახებ იციან რამე, გარდა იმისა, რასაც მოესწრნენ; არც ევგენი პრიმაკოვის ფუნქცია-როლის შესახებ სმენიათ მისხალი და, მით უმეტეს, არც ვინმე კოჟოკინზე.

„შვანია-საკაშვილი-პრიმაკოვის ურთიერთობა უფრო შვანია იმედებზე იყო დამყარებული. რადგან პრიმაკოვი შევარდნაძის პირადი დაუძინებელი მტერი იყო, „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ შევარდნაძის წინააღმდეგ დაწვებულ კამპანიაში გავლენიან პიროვნებებზე „ჩაბარების“ გზა აიჩიეს. სააკაშვილი თვითონ ჩავიდა პრიმაკოვთან მოსკოვში, რუსეთის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტში იმ ფულის მისაღებად, რომელსაც შვანიას შეჰპირდნენ. ამ ინსტიტუტის დირექტორს, კოჟოკინს, შვანია უბრალოდ, მიეყვინა. მანამდე შვანია შეხვდა კოჟოკინს და გადაწყვიტა, რომ არკადი ვოლსკის სტრუქტურის ბიზნესმენებისგან ფულს მიიღებდა შევარდნაძის ჩამოსაგდებად და საქართველოში მორიგი დესტაბილიზაციის ასაგორებლად. დიახ, ამაში პრიმაკოვის



„დასავლეთზე“ გაიქეზა რუსეთის აბენბურა



11 მზ.

იცავდი დიპლომატიურ ეტიკეტს და პატიობდი რუს მალალი დონის ჩინოვიკებს იმავე „მთავარი ღირებულებების წინააღმდეგ“ წასვლას, რისთვისაც იუნკერებმა და ჩვენმა თანამოქალაქებმა შესწირეს თავი? ნუ უთხრი ძირს ამერიკაში დღევანდელი ხელისუფლების არცთუ მყარ ავტორიტეტს...

რამ აღაშფოთა მაშინ საბჭოთა რუსეთის უმთხრობის კალთაში ნაგორაკები ყმაწვილები, რამე „ისეთი“ ხომ არ ხდებოდა, მოყირჭებული მეძავეებით „გადაგდების“ საშემოება ხომ არ ეზმანებოდათ? — იკითხავს ვინმე ცნობისმოყვარე.

რატომაც არა? — ტაკიანსხარად და ქართველთაშუალებს სახელდებულ ფირინოვსკის, ამავდროულად, „კრემლის რუპორად“ რომ მოიხსენიებდნენ, საქართველოს ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ძალიან მალე ეთქმევიან პირდაპირ ეთერში: რა ჯანდაბად გვინდა ეს აფხაზები და ოსები, უსარგებლო ხარჯიაო; მერე ისიც გაახსენდა, რომ საქართველო რუსთაველის სამშობლოა, ხოლო აფხაზეთი და სამაჩაბლო მისაერთებლად არ უდირთ — და იყო კიდევ რაღაც-რაღაც „საინტერესო“ გზავნილები. ეს ხდებოდა იმ დროს, როცა საქართველოს მოქალაქეების უმეტესობას ცოტათი მაინც აეხილა თვალი; იმ დროს, როცა ნატო-ს უძღურობდა არაფრისმაქნისობა რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ უკრაინაში დადასტურდა; როცა დილემის წინაშე დადგა საქართველოს მოსახლეობა, ორი უკიდურესობიდან ოდნავ ნაკლებ უბედურებას ამჯობინებდა და ხომ დარჩებოდა „გადაგდებულები“ პრო-დასავლეთელები? თუმცა, ალბათ, მაინც დაუფასდებოდათ ამაგი, მათ დანახეს ხალხს ევროპაც და აშშ-ს სწორედ ისეთი კუთხით, რომ მათკენ გახედვა აღარ მონდომებოდა ნორმალურ ერს და დღემდე ასე აგრძელებენ...

არის მეორე მომენტიც: საქართველოს არ აქვს იმის პოტენციალი, არათუ სხვას დაესხას თავს, არამედ საკუთარი თავი დაიცვას, არადა, ყველა მეზობელი აციცქინის მეტრ-მეტრობით საზღვრისპირა მიწებს, აზერბაიჯანი იქნება, თურქეთი თუ სომხეთი. პერსპექტივაში ფუნდამენტალისტების საფრთხეც მოჩანს. რუსეთი მხოლოდ საკუთარი ინტერესების

დაცვის შემთხვევაში გახდება საქართველოს, როგორც მისი განუყოფელი დამცველი და არ დაუშვებს მის პოლიგონად ქცევას, სხვა შემთხვევაში, საქართველოს საქმე ასეა — შთანთქავს ვიდაც, გამოხრულ ძვლებს კი პატარ-პატარა ტურები გააცუნცუნებენ...

ბელორუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს ვეროკავშირში „ევროპის უკანასკნელი დიქტატორი“ შეარქვეს, მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ ღიად აცხადებს, არ ვენდობი დასავლეთს, მაგრამ მასთან კარგი ურთიერთობა გვინდა გვექონდესო; არ ვენდობი რუსეთს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გვინდა, რომ მასთან კარგი ურთიერთობა გვექონდეს და გვაქვს კიდევ

ცო? იმიტომ, რომ ლუკაშენკოს ბელორუსია რუსეთის მიერ შექმნილ ყველაზე ახალ კავშირშია გაწევრიანებული, მაგრამ რუსეთმა ვერც აფხაზეთისა და ვერც სამაჩაბლოს აღიარებაში და საქართველოსთან ურთიერთობის დამატებაში ვერ დაითანხმა? იმიტომ, რომ ღიად აღიარებს, თქვენური (დასავლური) დემოკრატია არ არის ბელორუსში, მაგრამ არც მიმანია, რომ ამის აუცილებლობაა? იმიტომ, რომ ღიად აცხადებს, არ ჩავითრევ ჩემს ქვეყანას უაზრო ავანტურაში, მით უმეტეს, სისხლიანში, მაგრამ არც ანექსიას დაუშვებო? იმიტომ, რომ დაუფარავად განაცხადა, ვინც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას

წამოიწვევს, პრორუსი იქნება თუ პროდასავლელი, ყველას ფესვებიანად ამოეთხრითო? იმიტომ, რომ ღიად განაცხადა, ჩვენ არ გავაკეთებთ მკვეთრ მოძრაობებს რუსეთიდან დასავლეთისკენ და პირიქითო?

აბა, ახლა, რა და ვინდა უშლის ხელს საქართველოს ხელისუფლებას, ბელორუსის პრეზიდენტის საკუთარი ხალხისა და საკუთარი სამშობლოსთვის მართლა აზრიანად იღვაწოს, მხოლოდ იმ საქართველოს მოქალაქე პოლიტიკუტანკების შეძახილი, რომლებიც სწორედ საკუთარი სამშობლოსა და საკუთარი ხალხის ნაჭერ-ნაჭერ გაყიდვისა თუ ცდისპირად გამოყენების გამო პასუხისმგებლობა კარგა ხნის მიცემულ უნდა იყვნენ?

ორიოდე სიტყვა ნატო-ზეც ვთქვათ: 2008 წლის 3 აპრილს, ბუქარესტში გამართულ ნატო-ს სამიტზე რომ გაცხადდა, უკრაინა და საქართველო ნატო-ს წევრები გახდებიანო, მაშინ რას ფიქრობდა ნატო, რატომ გამოიწვია რუსეთი? და როდესაც სამ თვეში სააკაშვილმა ხელი მოუშორა რუსებს, საქართველოში შემორეკა და საწრაფოდ აფხაზეთი და სამაჩაბლო აღიარებინა, რატომ გვიგანა, წყლებით უმდიდრეს

ქვეყანას მხოლოდ წყალი რატომ მოგვაშველა?

ეს ხომ არ იყო მიზეზი, რაც მსოფლიოს მოედო გაზეთ «ВЕДОМОСТИ»-თ «Советский агент возглавил НАТО»? (აგენტურული მეტსახელით — «Стеклов») მით უმეტეს, რომ აღნიშნული გამოცემა იაფფასიან სკანდალებზე არ „მუშაობს“?

იქნებ, ისიც რაღაც კავშირშია, რომ იენს სტოლტენბერგამდე სხვაც ბევრი „საბჭოთა აგენტი“ გამოაშკარავა აბსოლუტურად ღიად საბჭოთა КГБ-ის სამართალმემკვიდრე იგივე უწყებაში? მაგალითად, რუსეთის მოძულე ცნობილი ამერიკელი გმირი სენატორი, ვიეტნამის ომის დროს ტყვედნაწარდნილი ჯონ მაკკეინი, ამერიკელი ადმირალის მფრინავი ვაჟი, რომელიც „დავერობოვებულის“ იქნა 1967 წელს და წლების განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა სპეცსამსახურებზე კოდური სახელით „ჯეკი მაუსი“, რომელიც 1981 წლამდე განაგრძობდა სამსახურს აშშ-ის შინაგან ჯარში, შემდეგ კი პოლიტიკური კარიერის შექმნა დაიწყო? იქნებ, ჯონ მაკკეინს გასული წლის მარტში ამიტომაც „ეთქმევიანა“ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, „საკაშვილი შეცდა

როგორ აღმოჩნდა რუსეთის ხელში ნატოს გასაიდუმლოებული სახეაღრო ობიექტი

სტოლტენბერგი — მეტსახელად „სტეკლოვი“

ეს ბაზა ნორვეგიის ჩრდილოეთით, მივარდნილ მხარეში, ტრომსესთან ახლოს 60-იანი წლების ბოლოს ააშენეს. მისი აგება იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა — 500 მლნ დოლარი დაჯდა. ბაზას ალიანსის ყველა ქვეყანა ერთად აშენებდა. კლდეში გვირაბებს ჭრიდნენ, სადაც უახლესი აპარატურით აღჭურვილ ნავმისადგომებს აწყობდნენ. ნორვეგიელები მიწისქვეშა გვირაბების საუკეთესო ოსტატებად მიიჩნევიან, ინგლისელები ფორტიფიკაციაზე იყვნენ პასუხისმგებლები. ამერიკელები კი ბაზას საუკეთესო მოწინავე ელექტრომწიფობილობებით უზრუნველყოფდნენ. ზოგიერთი მონაცემებით, ბაზის კედლებს ბირთვული ბომბის პირდაპირი დარტყმისთვისაც კი შეეძლო გაეძლო. ნატოს

წყალქვეშა ნაგებს შეეძლო თავი შეეფარებინათ იქაურობისთვის, საწვავისა და პროდუქტების მარაგი შეეწყოთ და მცირე რემონტიც გაეტარებინათ.

ოლავესვერნი (ასე ეწოდება იმ ადგილს) შესანიშნავი ადგილი იყო ჩრდილოეთის ზღვებში საბჭოთა საზღვაო ფლოტის თვალთვალისთვის და მის შესაკავებლად. ზღვაში გასულ ნატოს სუბმარინებს შეეძლო სწრაფად გადაეკეტათ რუსული ზომილდებისთვის ნორვეგიის ზღვისკენ და დასავლეთის ნახევარსფეროსკენ გასასვლელი.

2009 წელს ეს საიდუმლო სამხედრო ობიექტი აუქციონის წესით გაიყიდა. ნატოში მიიჩნიეს, რომ რუსეთი სახიფათო აღარ იყო, უკვე დამარცხდა და საჭირო აღარ იყო კლდეებში მდებარე ამ გვირაბების-



თვის ფულის ტყუილად გადაყრა. მყიდველი მალე არ გამოჩენილა. განცხადება დიდი ხნის განმავლობაში იდო ინტერნეტ-აუქციონის საიტზე, სადაც ნახმარი მანქანები იყიდებოდა. ლოტის ფასი თანდათან იკლებდა. საწყისი ფასი 12 მლნ დოლარი 4,4 მლნ ევრომდე დაეცა.

სწორედ ამ ფასად შეიძინა ბაზა 2012 წელს ნორვეგიელმა ბიზნესმენმა გუნარ ვილჰელმსენმა.


25 ათასი კვ მ ტერიტორია, 3000 კვ მ ღრმსწვლვანი ნავმისადგომები, ყოფილ ვაზარმებში მოწყობილი 124 სასტუმროს ნომერი... ამ ყველაფერში ნორვეგიელ ბიზნესმენს არც ისე მალალი ფასის გადახდა მოუწია.

იცით, ვინ გაყიდა ბაზა? ნატოს ამჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, რომელიც მაშინ ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი იყო და პირადად იღებდა გარიგებაში მონაწილეო-

ბას, როგორც მთავრობის წარმომადგენელი. სტოლტენბერგს უხაროდა კიდევ, რომ უსარგებლო მემკვიდრეობისგან გაათავისუფლდა, მაგრამ როცა ოლავესვერნთან სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა რუსული დროშა, ეს უკვე აღარავის მოსწონდა.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ საიდუმლო ბაზის ტერიტორიაზე რუსეთის სადაზვერუო და სამეცნიერო-კვლევითი ზომილდები ბაზირებენ. თავად ბაზის აღჭურვილობა და მოწყობილობა-დანადგარები ბაზაზე ხელუხლებლად დარჩა და რუს სპეციალისტებს უკვე ნატოს საიდუმლოებებზე მიუწვდებოდათ ხელი.

ადგილობრივებს კი უხაროდათ, რომ ახლომდებარე სოფლები ეკონომიკურ სარგებელს ნახავდნენ, მაგრამ სამხედროები სერიოზულად შემოთრდნენ — რუსეთი ძალებს იკრებს და თავის სამხედრო ფლოტს ადადგენს, ვაითუ რუ-



გუჩი შოკოლადი ტვინის გუგარობას აუგჯობებს

ვაგრძელებთ
საუბარს აკადემიკოს
რამაზ ბახრაძისთან

— ბატონო რამაზ, რა შეგიძლიათ გვითხრათ შოკოლადის სასარგებლო თვისებებზე?

— მე-19 საუკუნეში საფრანგეთში მკურნალები შოკოლადს ყველა დაავადების წინააღმდეგ პანაცეად მიიჩნევდნენ და მას ყველა ავადმყოფს უნიშნავდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს შოკოლადს ჯარისკაცებს აძლევდნენ, როგორც ენერჯის ძირითად წყაროს. ადრე შოკოლადს მოსაწამლად იყენებდნენ — მხამს მზა პროდუქტში ურევდნენ, რომელიც საწამლავის სუნს ანეიტრალდება და მას შეუმჩნევლს ხდიდა. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ-

წლამდე ბავშვებისთვის.

შოკოლადი წარმოადგენს გამოყენება კოსმეტოლოგიაშიც. მისგან მზადდება შამპუნები, თმისა და სახის ნიღბები, ხოლო შოკოლადის მასაჟი არამარტო მატონიზირებელ გავლენას ახდენს კანზე, არამედ აძლევს განწყობილებას. შოკოლადში შემავალი კოფეინი და ტანიინი ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას. კოფეინი ააქტიურებს ცხიმების დაშლას და იცავს ორგანიზმს ცელულიტისგან. შოკოლადში შემავალი A, B, D და F ვიტამინები ამგრებს თმას და ფრჩხილებს.

— როგორც ამბობენ, შოკოლადი ტოქსიკურ ნივთიერებებსაც შეიცავს. რამდენად საფრთხის შემცველია ეს ჯანმრთელობისთვის?

ერთად შოკოლადი შეიძლება შეიცავდეს ნიადაგიდან მოხვედრილ ტოქსიკურ მძიმე მეტალებს — ტყვიას და კადმიუმს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში გროვდება და აზიანებს ნერვულ სისტემას, სისხლის უჯრედებს, ძვლებს და შინაგან ორგანოებს. კადმიუმს შეიძლება დიდი რაოდენობით შეიცავდეს ვულკანურ ნიადაგებზე მოყვანილი ნედლეული, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

— მეტი სარგებლის მისაღებად რომელი შოკოლადი მივირთვათ?

— შოკოლადი დიდი რაოდენობით შეიცავს კოფეინს, თეობრომინს და ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ორგანიზმს სტრესთან და გარემოს დაბინძურებასთან საბრძოლველად ეხმარება, დადებითად მოქმედებს გულსისხლძარღვთა სისტემაზე, უხდება ხველებს, აფერხებს კიბოს განვითარებას. შოკოლადი შეიცავს ფენილეთილამინს, რომელიც ბუნებრივი ანტიდეპრესანტია, ასევე, კრიატოფანს, რომელიც იწვევს ტვინში სეროტონინის — „ბედნიერების ჰორმონის“ გამოთქმას, რაც გუნება-განწყობილებას და ლიბიდოს აძლევს. ეს ნივთიერებები ორგანიზმში ბუნებრივად გამოიყოფა, როცა ადამიანი ბედნიერი ან შეყვარებულია. სხვა საკონდიტრო ნაწარმისგან შოკოლადი მაღალი ენერგეტიკული ღირებულებით და ორგანიზმის მიერ ადვილად შეთვისების უნარით განსხვავდება. შოკოლადის სახეობებიდან ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა მუქი ანუ მწარე შოკოლადი. ზოგადად, კაკაო შეიცავს ფლავონოიდებს და პოლიფენოლებს, რომლებიც ჩვენს ორგანიზმს ქრონიკული დაავადებებისგან იცავს. მუქ შოკოლადში კაკაოს



ბი ასაფეთქებელ ნივთიერებას შოკოლადით ფარავდნენ. გარე გარსის დაშლის შემდეგ აფეთება ხდებოდა. ზოგადად, შოკოლადი ხელს უწყობს სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას და სიბერის ჭკუასუსტობას აფერხებს. მას ზომიერად თუ მიირთმევთ, წონის დაკლებაშიც დაგეხმარებათ. მუქი შოკოლადი დიდი ხნით აცხრობს სიტყბოსადმი მიდრეკილებას და საკვების მიღების სურვილს. შიმშილის მოსაკლავად საკმარისია 10გრ მუქი შოკოლადის მიღება. ჰელსინკის უნივერსიტეტში დაადგინეს, რომ ფენხმძიმე ქალებს, რომლებიც რეგულარულად იღებენ შოკოლადს, ჯანმრთელი ბავშვები უწინდებიათ. მუქმა შოკოლადმა შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ორგანიზმს მისი ჭარბი რაოდენობით მიღების შემთხვევაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სიმსუქნე და შაქრიანი დიაბეტიც კი. მუქმა შოკოლადმა ასევე, შეიძლება გამოიწვიოს ალერგია. მისი მიღება არ შეიძლება სამ

— საკვების ინდუსტრიის მძაფრი განვითარების პირობებში, საკვების შემცველობის და დანამატების გამო მრავალი პროდუქტი ვერ პასუხობს საკვების უვნებლობის მოთხოვნებს. ამ მხრივ არც შოკოლადია გამონაკლისი. ძვირადღირებულ კაკაოს ცხიმს ზოგჯერ უფრო იაფფასიანი ცხიმებით ცვლიან. დიახ, შესაძლოა, შოკოლადის ფილა ტოქსიკურ ნივთიერებებსაც შეიცავდეს. თერმული დამუშავება (მოხალვა, შრობა) ზრდის პროდუქტში კანცეროგენური ნივთიერების — ბენზპირენის შემცველობას. ბენზპირენი წარმოიქმნება ნავთობის, ნახშირის, ნავის დაწვისას, შედის ძრავების გამონახობლქვ გაზებში, თამბაქოს ბოლში, ჭვარტლში. არაკეთილსინდისიერი მეწარმეები ხშირად მუქ შოკოლადს ე.წ. კაკაოვლას — კაკაოს პარკების გადამუშავების ნარჩენს, ჩენჩოს უმატებენ, რასაც ეტიკეტზე არ უთითებენ. ეს კი შოკოლადის ხარისხს აქვეითებს. ჩენჩოსთან

შემცველობა ყველაზე მაღალია (65-80%). ფლავონოიდები ხელს უშლის „ცუდი ქოლესტერინის“ სისხლძარღვებში დაგროვებას და ამცირებს თრომბების წარმოქმნის რისკს, ხელს უწყობს „კარგი ქოლესტერინის“ დონის ამაღლებას. პოლიფენოლები კი აფერხებს არტერიათა კედლებზე ცხიმების დაჟანგვასა და დალექვას. შოკოლადი ასევე, ხელს უწყობს ორგანიზმში აზოტის ოქსიდის გამოთქმას, რომელიც სისხლძარღვთა გაფართოებას იწვევს და, შესაბამისად, არტერიული წნევის შემცირებას. შოკოლადის რეგულარულად მიღება 40%-მდე ამცირებს გულის დაავადებათა რისკს. არსებობს მონაცემები, რომ შოკოლადი მოციმციმე არითმიის რისკსაც ამცირებს. მუქი შოკოლადი გახეხილ კაკაოსთან ერთად შეიცავს ნახშირწყლებს, ცხიმებს და ცილებს, მის შემადგენლობაში

ასევე, შედის კალიუმი, ფოსფორი, მაგნიუმი, კალციუმი, ნატრიუმი, მცირე რაოდენობით რკინა. მუქი შოკოლადი შეიცავს PP, E, B1 და B2 ვიტამინებს. შავი შოკოლადის კალორიულობა 100 გრამ პროდუქტზე დაახლოებით, 550 კალორიას შეადგენს. მუქი შოკოლადი ასევე, დიაბეტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური საშუალებაა. მუქ შოკოლადს დაბალი გლიკემიური ინდექსი აქვს, არ იწვევს სისხლში შაქრის დონის მატებას და ხელს უწყობს სისხლში შაქრის უკეთ შეთვისებას. მეღებურის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა, რომლებიც 10 წლის განმავლობაში 13 ათას ადამიანს აკვირდებოდნენ, რომელთაც ჰქონდათ მეტაბოლიტური სინდრომი სისხლში ქოლესტერინის და შაქრის მაღალი შემცველობით, აჩვენეს, რომ მუქი შოკოლადის მიღება დიაბეტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური საშუალებაა. შოკოლადი ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. მუქ შოკოლადში შემავალი ფლავონოიდები აფართოებს სისხლძარღვებს და ხელს უწყობს ტვინის ძირითადი უბნების სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას. ეს კი, თავის მხრივ, ასტიმულირებს ტვინის მუშაობას, აძლევს ყურადღებას და კონცენტრაციის უნარს. მუქი შოკოლადი ასევე, აუმჯობესებს ტვინის მუშაობას ძილის უკმარისობის დროს.

(დასასრული იქნება)

თამარ შველიძე
555 23 28 24



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომავლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: **გვანცა ხარჩილაშვილი 599 03 43 06**
სარედაქციო კოლმბია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კვეციანი, ლევან ჭილაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე.
ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 2022 წლის 30 ნოემბერს

მის: თბილისი, ტაშაძის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოცემა შეზღუდულია შპს „ელვა-ჯი“-ს მფლობელით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციის არ დაინახებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეა პასუხისმგებელი ავტორისა. გაზეთის მასალის გამოყენებისას ავტორის პოზიციის დასაცემად ავტორის პოზიციის დასაცემად ავტორის პოზიციის დასაცემად.
© ამ ნიშნით აღიწერილი სარედაქციო მასალა.
ინჟინერ შპს „სასაველ-დასაველი“ სტამბაში. აგლავის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

2 008311 231562